ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 12 (17)

29 VI 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა



27 მაისს ფილარმონიის დიდ დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობამ.

საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნის „დიდების" შესრულების შემდეგ ყრილობამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია (12 კაცი), სამანდატო კომისია (16 კაცი) და სამდივნო (3 კაცი). დამტკიცდა დღის წესრიგი და შემდეგ, უკვე დამკვიდრებული ტრადიციის შესატყვისად, ყრილობა დალოცა მამა ღვთისომ.

ყრილობას მიესალმნენ ლატვიისა და ესტონეთის სახალხო ფრონტის წარმომადგენლები (მეორე დღეს ყრილობას მიესალმა „საიუდისის" წარმომადგენელი.

საანგარიშო მოხსენებები გააკეთეს სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ნათაძემ და მისმა მოადგილემ ბატონმა ავთანდილ იმნაძემ. ყრილობის წინაშე ანგარიშით წარსდგნენ სფს-ს გამგეობის წევრები და კომისიების თავმჯდომარეები.



გამოიკვეთა აზრი, რომ საქართველოს სახალხო ფრონტმა საანგარიშო პერიოდში მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთა როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით; ხოლო ის ნაკლოვანებები, რაც უდაოდ არსებობს სფს-ს მუშაობასა და მოღვაწეობაში, მრავალწილად განპირობებულია გარეშე ფაქტორებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღინიშნა სფს-ს დისკრედიტაციის სურვილი და მცდელობა ერთის მხრივ, სხვადასხვა ოპოზიციური ძალების, ხოლო მეორე მხრივ, ოფიციალური ხელისუფლებისა და მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მხრიდან.



კამათში გამოსულმა ერთ-ერთმა ორატორმა, სფს-ს ფრაქციის წევრმა ბატონმა არჩილ ჰირაქაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა: „ყველას კარგად გვახსოვს, რა ძალისხმევა დასჭირდა პირადად ბატონ ნოდარს და მისი თანამოაზრეებს იმის მისაღწევად, რომ სახალხო ფრონტის წესდებაში შეეტანათ და საყოველთაო გაეხადათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, საქართველოს დამოუკიდებლობის ნათელი იდეა. მაშინ გვეგონა, რომ სახალხო ფრონტი გააერთიანებდა სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას და მოძრაობას ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. გააერთიანებდა ისეთ მასობრივ ორგანიზაციაში, რომელიც თავისი მასობრიობის შემწეობით ერთგვარი გარანტი იქნებოდა მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელშეუხებლობისა და თავისუფალი მოქმედებისა. სამწუხაროდ სახალხო ფრონტმა ეს ვერ შეძლო. ყველას უნდა გვეყოს გამბედაობა, რომ ამის მთავარი მიზეზი ჩვენივე ორგანიზაციაში ვეძებოთ, და არა სხვა, ეროვნული თუ არაეროვნული მოძრაობის ქმედებითა თუ ხრიკებით ავხსნათ, თუმცა, ეს ფაქტორებიც ძლიერ მნიშვნელოვანია".

ყრილობის მუშაობა გრძელდება.







გიორგი ცაგარელის ფოტოები.

**სოფელი** წინანდალი კახეთში განთქმული იყო ოდითგანვე, ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ, თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე არც ამოირჩევდა სამოსახლოდ. ამ სოფლის შემოგარენისთვის ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონს მიუქცევია ყურადღება: „და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, გარნალ ტყე უმეტეს ხილიანი, მცირედ წყლიან-მინდორიანი, ვენახოვანი, ხილიანი, ღვინიანი კეთილი და კარგი", — წერდა იგი და რა გასაკვირია, თუ სოფლის ამ ღვთისაგან ბოძებულ მადლს კარგი შემფასებელი გამოუჩნდებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ მაშინ გაითვალისწინეს ჭავჭავაძისეული მამულის სიკეთე, როცა თავად გარსევანის სასახლე დაანგრიეს და მის ნაცვლად სამთავრობო სახლი ააშენეს, რომელსაც ხალხში რატომღაც სასტუმროს ეძახიან. დღეისათვის ნათავადარ მამულებში, ანუ კერძოდ დეკორატიულ პარკში, ოთხი ასეთი შენობაა—მთავრობას რომ შეეფერება სწორედ ისე კეთილმოწყობილი.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და იმ მოტივით, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის დეკორატიულ პარკში მინისტრთა საბჭოს სახლები მდებარეობდა, 1979 წელს დეკორატიული პარკიც ამ უმაღლესი ინსტანციის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკუთრებაში მყოფი სოფლის თავში მდებარე ტერიტორია, 90 ჰექტარის ოდენობით, იმავე მინისტრთა საბჭოს მთავარ სამეურნეო სამმართველოს დამხმარე სასოფლო მეურნეობის მოსაწყობად გადაეცა. თითქმის ნახევარი სოფელი ასე მოექცა მთავრობის კაბალაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა მეურნეობას სოფლის თავში მდებარე ტერიტორიებიდან მხოლოდ 28 ჰექტარი ეკავა სავენახედ, დანარჩენი კი, ტყიანი და ველხანი ადგილები, ჯაგნარ-მინდვრებიანად, სავსებით ამოიძირკვა, გადაიხნა და საერთო მოცულობით 90 ჰექტარი ერთიანად მოშიშვლდა და გავერანდა. სოფელს მოეშალა ტყით სარგებლობის ყველანაირი სიკეთე, მოეშალა გასადევარი და რაც ყველაზე მთავარია, აბსოლუტურად განადგურდა ფლორა და ფაუნა. ადრე თუ წინანდლის თავში სოკოსა და ტყის ხილზე წასულ სოფლელებს ხან ხოხობი და ტყის ქათამი აუფრინდებოდათ, ხან კი კურდღელი წამოუხტებოდათ ბუჩქებიდან, ახლა ჩვეულებრივი წყანტწყარტა ჩიტის ჭლოჭტულიც სანატრელი გაუხდათ. რადგან ტყის აკაფვით ბუნებრივი საფარი მოეშალა, წვიმის წყალმა და ღვარმა პირდაპირ სოფელზე იწყო დენა და ყოველი გავდრების შემდეგ 20-25 ოჯახი ლამის წყალში ტივტივებს. სამაგიეროდ, მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ ათვისებულ ტერიტორიებზე გაშენდა საზამთროს ბაღები, შემდეგ ვენახი, ხეხილის ბაღები, აშენდა საღორეები, საძროხეები, მარანი, არყის სახდელი, წინანდლისა და კისისხევის გამყოფ ხევში ორი ტბორი თევზის მოსაშენებლად და ამავე ხევში ერთი საგანგებოდ მოწყობილი საღორე, საგანგებო ჯიშის ღორებისათვის. და მოხდა სასწაული — ამ დამხმარე მეურნეობის დაქვემდებარებაში გადავიდა ჭავჭავაძისეული დეკორატიული პარკი. გადაიკეტა პარკთან მისასვლელი ყველა გზა და მათ შორის ისტორიული, კვიპაროსების ხეივნიანი ცენტრალური მისასვლელიც. სამაგიეროდ გაშენდა ვითომ ახალი პარკი, რომელიც დღეს ლამის სულს ღაფავს შამბსა და ბალახში და ახალი ცენტრალური შესასვლელის რკინის კარიბჭესთან ჩამოიკიდა საგზაო ნიშანი — მანქანების შესვლა აკრძალულია. მაგრამ საკითხავია, რომელი ან ვისი მანქანების, როცა მთელი თორმეტი წლის განმავლობაში გაუთავებელი მშენებლობა და რემონტი მიმდინარეობდა პარკის ტერიტორიაზე მდებარე სამთავრობო სახლებში, ზედ პარკზე გადადიოდა კომუნიკაციები. ხელით თხრას რომ ტექნიკით სჯობს, ამას რა მტკიცება უნდა და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უმაღლესი ხელმძღვანელობიდან დაწყებულ თავად დამხმარე მეურნეობის ხელმძღვანელობამდე მთავარი ინტერესის წყაროს დამხმარე მეურნეობა და სამთავრობო სახლები წარმოადგენდა, ადვილი მისახვედრია, რა მდგომარეობაში ჩავარდა წინანდლის პარკი. ეს უნიკალური პარკი, რომელმაც საუკუნენახევარს გაუძლო, ცამეტიოდე წელიწადში კვდომის პირას დადგა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც მინისტრთა საბჭოს „მზრუნველობის" ქვეშ იმყოფებოდა, დეკორატორი არ ღირსებია. და იყო ასე ოცდახუთიოდე მუშისა და ღვთისანაბარა.

შესასვლელთან მიმაგრებული საგზაო ნიშნის მიუხედავად ყოველ შაბათ-კვირას, ხშირად კი თვით კვირის შუა დღეებში, შავი ზიკ-ზიკა მანქანების ბზრიალ-ხრიალი იყო ჭავჭავაძისეულ მამულში.

ამბობენ, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო და ვფიქრობთ, ანალოგიური მოხდა წინანდალში. უმტკივნეულოდ აითვისეს 9 ათეული ჰექტარი მიწა; სოფლის საუკუნის ისტორიის მქონე საავადმყოფო გაუქმდა, რომლის შენობაც დამხმარე მეურნეობისა და სამთავრობო სახლების დირექციამ საკუთარ რეზიდენციად გადააქცია. ისე უმტკივნეულოდ შეუდგნენ თავად წინანდლელები მაცოცხლებელი ტყის აჯაგვასა და ყოველგვარი ადმინისტრაციული დავალების სიტყვის შეუბრუნებლად შესრულებას, რაღაც მანეთებისა თუ დღესასწაულებზე გაცემული დეფიციტური პროდუქტების გამო, რომ გაოცდებოდა კაცი, სხვა ყველაფერთან ერთად რამხელა ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა რესპუბლიკის მთავრობამ, სწორედ რომ სათავისო სოფლისათვის დაედგა თვალი. არც სოფლის საბჭოს თავმჯდომარე (დღესაც ისევ ეს კაცია თავმჯდომარედ), არც საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, არც რაიონის ხელმძღვანელობა, არც ჩინიანი და არც უჩინო, არც დაბალი და არც მაღალი არ აღსდგომია მინისტრთა საბჭოს ამგვარ თარეშს ისტორიულ სოფელში. და იყო ყველა კმაყოფილი მანამდე, ვიდრე ვიღაცამ არ იკითხა — ამ 90 ჰექტარზე მოწეული მოსავალი ნეტა ვის მისდის და სად მიდისო. თუ მინისტრთა საბჭოსია, რატომ მათ თანამშრომლებს არ უნაწილდებათ, თუ რაიონს ბარდება, რომ არც მაღაზიაში და არც ბაზარში არ ჩანს ამოდენა დოვლათიო?! ეს იყო 1986 წელს. შემდეგ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" გამოქვეყნდა პატარა სტატია იმის შესახებ, რომ სოფელში ცალ ზოლად დარჩენილ მუხნარის ტყეს დიდი საშიშროება ელოდა დამხმარე მეურნეობის მეღორეობის ფერმებისაგან და რომ დამხმარე მეურნეობას ზიანის მეტი არა მოჰქონდა რა სოფლისთვის. ამ საგაზეთო სტატიას მოჰყვა მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსის ზურაბ მახარაძის წერილი, რომელიც აღნიშნული გაზეთის რედაქციას ატყობინებდა, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები შეუსწავლელია და სიტყვიერ მასალასაა დაყრდნობილიო. მაგრამ გავიდა დრო და ბრმაც ხედავდა, რომ წინანდლელი ზემოუბნელი მოსახლეობა გასაჭიროსაგან გაწყდა წელში. ძროხა რომ საძოვარზე გაეყვანათ, გასადევრის უქონლობის გამო ალაზნის ჭალებში ჩაჰყავდათ. ყოველდღე 15-20 კილომეტრი ჩასასვლელად და 15-20 კილომეტრი სოფელში ამოსაბრუნებლად უნდა ევლო მენახირესაც და ძროხასაც. ლობიოს სარის მოსაჭრელად მეზობელი სოფლის ტყეებში უნდა გადასულიყვნენ. წვიმებისას კვლავ იტბორებოდა სოფელი, ჭავჭავაძისეული პარკი სპეციალისტის გარეშე სულს ღაფავდა (თუმცა კი დეკორატორის შტატი ყოველთვის დაკავებული იყო) და იყო სამთავრობო სახლებში გაუთავებელი კეთილმოწყობა, დამხმარე მეურნეობაში კი მეღორეობის განვითარება, სავენახედ ნამყენების ჩაყრა-ამოყრა და ღვინო-არყების დამზადება. ამიტომ რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ" კვლავ გამოაქვეყნა წერილი სოფელში შექმნილ მდგომარეობაზე და ახლა უკვე სასწრაფოდ გამოიყო თავად მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს კომისია თავიანთივე თანამშრომლების შემადგენლობით. კომისიამ ნახა, რომ სოფელი თავმოკვეცილია, გასადევარის გარეშეა და ოთხივ კუთხითაა გადაკეტილი გზებით; რომ ჭავჭავაძისეულ პარკს არ ჰყავს დეკორატორი: რომ დამხმარე მეურნეობა კი თურმე იმიტომ შეიქმნა, რომ ამ უნიკალურ პარკს სათანადოდ უპატრონონ და რომ დამხმარე მეურნეობა მშვენიერი მოგონებაა თუნდაც იმიტომ, რომ რაიონში ღორის ხორცის დამზადების გეგმა ხანდახან სრულდება ხოლმე. თანაც იმ ჯაგნარს და ტყე-ღრეს ეს ბაღ-ბოსტანი არა სჯობსო?! მაგრამ მათთვის რომ ბაღ-ბოსტანი და ფერმები სჯობდა, სოფელს რა უჯობდა, ამაზე სიტყვას არავის აღებინებდნენ და რომ იტყვიან — დარჩა კრება მხიარული.

ამის შემდეგ საქმეს ხელი მოჰკიდა თელავის რეგიონულმა სახალხო ფრონტმა და სოფლის მოსახლეობასთან ერთად რამდენჯერმე შეეცადა ამ რთული ვითარებიდან საშველის გამოძებნას. დაუკავშირდა მწვანეთა პარტიას, შეიქმნა კინომასალა, მინისტრთა საბჭოში გაიგზავნა ხელმოწერები, სოფლის მოსახლეობის სამართლიანი გულისტკივილი გადაეცა რადიოთი, რაიონის პარტიულ ხელმძღვანელობას მრავალგზის მოეთხოვა აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირება, მაგრამ... და როგორც იქნა, თორმეტი წლის შემდეგ ზურაბ მახარაძე, ახლა როგორც მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, და სამეურნეო სამმართველოს უფროსი ბერიძე სოფლის მოსახლეობას შეახვედრა სახალხო ფრონტმა და მწვანეთა პარტიამ. ამ შეხვედრაზე [illegible] აშკარად გულმოსული და [illegible] სოფლის პირისპირ [illegible] მახარაძე, სოფელს პირობა მისცა, რომ ამიერიდან გაუქმდებოდა დამხმარე მეურნეობა, ამდენი ხნის განმავლობაში მათ მიერ დანიშნული დირექტორის ნაცვლად დაინიშნებოდა ის, ვისაც სოფელი, რაიონის ხელმძღვანელობა და ამ საქმით დაინტერესებული ორგანიზაცია-პიროვნებები დაუჭერდნენ მხარს, რომ სოფლის ყველანაირ მოთხოვნას ყურად იღებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ისევ მინისტრთა საბჭოს გამგებლობაში დარჩებოდა პარკი და სამთავრობო სახლები. შეხვედრაზე აშკარად გამოიკვეთა სოფლის დიდი სურვილი — მინისტრთა საბჭოს დაეთმო პარკიც და დაკავებული სახლებიც. ამიტომ, ვითომ იმ მიზნით, რომ ეკონომიკურად სუსტ რაიონს გაუჭირდება ამ მშვენიერი პარკის შენახვა, ჩვენზე კარგი პატრონი საქართველოში არ არსებობსო. პარკს დღეიდან დეკორატორიც ეყოლება, არც სამეცნიერო მუშაობა მოაკლდება, დამხმარე მეურნეობაც გაუქმდება და აღსდგება სოფლის ტყე-მინდვრებიცო... — ასეთი დაპირებებით დასცილდნენ ჩამოსულები წინანდალს.

მას შემდეგ უკვე ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა და ახლა სიტყვის გაგონებაც არ სურს ბატონ მახარაძეს დამხმარე მეურნეობის გაუქმებაზე. ახალგაზრდა კაცს კი, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელობამ, აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო ფრონტმა რეკომენდაცია მისცა პარკის და სამთავრობო სახლების დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნად, სამი თვის შემდეგ უარი უთხრა იმ მოტივით, რომ უმაღლესი განათლება არ აქვსო. სამაგიეროდ თვით წინანდალშივე შეიქმნეს სოფლის ნების გამომხატველი ოპოზიციური ჯგუფი, რომელმაც სოფლის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით აირჩია პიროვნება, რომელიც 1955 წლიდან წასულია სოფლიდან და დღემდე თბილისის მოქალაქეა.

და ყოველივე ამის შემდეგ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნეტავ კი აქვს მორალური უფლება, კვლავ რაცხდეს თავს უმაღლეს ხელისუფალ ორგანოდ, ქვეყნის მთავრობად, ხალხის პატრონად და მზრუნველად?!

განსაჯოს თავად ხალხმა!

**სრულიად საქართველოს თელავის რეგიონული სახალხო ფრონტის გამგეობა.**

## სოფლის სატკივარი

# განსაჯოს ხალხმა!

# წერილები რედაქციას

### სიმართლე ანუ შიმშილობის ორი დღე

გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" 20 აპრილის ნომერში დაბეჭდა თავისი სპეციალური კორესპონდენტის ეკა ახალკაცის წერილი „პროვინციული ისტორია", რომელშიც ჩემს შესახებ მოთხრობილი ამბავი არ შეესაბამება სინამდვილეს.

მკითხველი აღნიშნული წერილიდანაც შეიტყობდა, რომ ქ. მაიაკოვსკში, ჩემს მეზობელ სახლში, განთავისუფლდა სამოთახიანი ბინა. ვინაიდან რვა დედმამიშვილი ავადმყოფ მშობლებთან ერთად რვა წელიწადია ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით და თან გაფართოების სიაშიც რიგგარეშე ვიყავით, განცხადებით მივმართე რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, ამავე დროს განცხადების ასლი რუსთაველის საზოგადოების რაიონულ ორგანიზაციასა და პარტიის რაიონულ კომიტეტში მივიტანე.

კორესპონდენტი წერს, თითქოს ამ ბინაზე ექიმ ბ. ჰელიძესა და ჩემთან ერთად პრეტენზიას აცხადებდა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე გ. ლაბაძე. ეს არ არის სწორი, ვინაიდან ჩემი განცხადების წაკითხვისთანავე მან იქვე, ჩემს თვალწინ დაურეკა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს და უარი თქვა ბინაზე, თან ამის შესახებ იმ დღესვე ოფიციალურად გააკეთა წერილობითი განცხადებაც. ასე, რომ შიმშილობის გამოცხადების წინ პრეტენდენტი ორნი ვიყავით: მე, ე. ი. ჩემი ოჯახი და ექიმები, ოღონდ ამის შესახებ გ. ლაბაძემ კი არ გამაფრთხილა, როგორც ე. ახალკაცი წერს, არამედ ჩემი თვალით ვნახე: როცა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს განცხადება მივუტანე, მის კაბინეტში ექიმთა ჯგუფი დამხვდა, რომლებიც ბინას თავიანთი კოლეგისათვის ითხოვდნენ. გუმანით მალე იმასაც მივხვდი, რომ თუ რაიმე რადიკალურ ზომას არ მივიღებდი, ჩემი სიმართლე ამჯერადაც დაიწიხლებოდა. ამიტომ დავასწარი მოვლენების უკუღმა განვითარებას და საშიმშილოდ სწორედ იმ თავისუფალი ბინის წინ დავჯექი. ასე რომ არ მექნა, დარწმუნებული ვარ, შიგ შეასახლებდნენ არა „ვინმეს", როგორც ე. ახალკაცი წერს, არამედ ექიმ ბ. ჰელიძეს.

სიმართლეს არ შეესაბამება აგრეთვე განცხადება, თითქოს ჩემი გაჭირვების ამბავი რომ გაიგეს, ექიმებმა თვითონ დამითმეს ბინა.

ჯერ ერთი: დასათმობი აქ არაფერი იყო. ბინა რიგგარეშე მე მეკუთვნოდა ექიმი ჰელიძე კი მეჩვიდმეტე იყო რიგში. ჩვენ ათი სული ვცხოვრობდით ერთოთახიან ბინაში, ისინი — ოთხნი. განა ყველაფერი დღესავით ნათელი არ არის?

მეორეც: მთელი ორი დღე-ღამის მანძილზე გარეთ, სიცივეში, ვშიმშილობდი, სანამ ბოლოს და ბოლოს, რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით, ბინის კარი არ გამიღეს. თუ ისინი ასეთი გულშემატკივრები იყვნენ და ჩემი გაჭირვებაც მართლა მოწვავდათ გულს, პირველ დღესვე დაეთმოთ? მათ მეტი მოცილე ხომ არავინ მყავდა? რაღას გამაწამეს?

სინამდვილეში კი აი, როგორ იყო საქმე:

ექიმი ნ. ჯანელიძე, რომელიც ამავე დროს ბავშვთა ფონდის რაიონული განყოფილების გამგეცაა და უშუალოდ ევალება მრავალშვილიან ოჯახებზე ზრუნვა, შიმშილობის მთელი ორი დღის მანძილზე მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე დავეყოლიებინე და ბინა ექიმ ჰელიძისათვის დამეთმო. იგი რას არ მპირდებოდა ამისთვის: ხან არარსებულ ოროთახიან და სამოთახიან ბინებს ერთად (ამაზე წერილობითი თანხმობაც კი გამომართვა, ოღონდ მერე შეპირებული ორდერები ვეღარ მომიტანა), ხან შვიდოთახიანს... ერთ-ერთ ასეთ საუბარს ჩემს სანახავად მოსული „კომუნისტის" კორესპონდენტი ვ. თევდორაძეც შეესწრო და სიცილით უთხრა: ქალბატონო ნანა, რატომ გვაცდუნებ, შვიდოთახიანი ბინა სად არისო. ერთი სიტყვით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ რათა (რბილად რომ ვთქვათ) ბინა დაეთმობინებინათ... ჩემთან ხალხს უშლიდნენ მოსვლას, კორესპოდენტების შემოშვებაც არ უდოდათ. ერთმა ექიმმა ისიც კი იკადრა, რომ ჩემს ავადმყოფ, გულზე მძიმენაოპერაციებ ძმას დაემუქრა: ექიმი არ დაგჭირდებათ, არ გინდათ საავადმყოფოში მოსვლაო?..

აი, როგორ „დაგვითმეს" ბინა!

მინდა მკითხველს გულახდილად ვუთხრა, რომ ამ ამბის საქვეყნოდ გამოტანას არ ვაპირებდი. მუდამ მჯეროდა, რომ ბოროტებას მიტევება უნდა დაუპირისპიროს ქრისტიანმა, მაგრამ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე სათნოებად გასაღებულმა ავკაცობამ ძალიან მატკინა გული და ეს მცირე საპასუხო წერილიც ამ გულისტკივილმა დამაწერინა.

**ნ. ხარაბაძე.**

### ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოვახსენო ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორს, პატივცემულ გიორგი აგლაძეს, რომელსაც ჩემი წუხილიანი წერილი — „დროა დავარისხოთ ზარები" (გაზ. „საქართველო" 13.I.1990) — არ დაუტოვებია, როგორც „ხმა მღაღადებლისად" და თავის მხრივ (რაც მას შეეხებოდა) გამოეხმაურა ჩემს მიერ დასმულ საკითხებს.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ უფალი პროკურორის წერილში (პირადად მე) „გაღმა შეეღავე და გამოღმით შეგრჩებაო" გარდა ვერაფერი ამოვიკითხე, რადგან მის საპასუხო წერილში იმდენი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია, სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი.

მკითხველი სიტყვების ზედმეტი რახარუხით რომ არ გადავღალო, პირდაპირ საქმეზე გადავალ, ოღონდ ჩემს წერილს ერთი-ერთზე ურთიერთობის პრინციპის მიხედვით ავაგებ:

უფალო პროკურორო, სიმართლე მოგახსენოთ, თქვენივე სიტყვებისა მიკვირს, როცა ამბობთ, რომ განზრახ მკვლელობა (სხვათა შორის, კონკრეტულ საქმეზე მკვლელობის მცდელობასთან გვაქვს საქმე და მეტი სიზუსტისათვის კონკრეტულ შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია ყველაფერს ყოველთვის თავისი სახელით იხსენიებდეს. გ. თ.) ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია ყველა დანაშაულს შორის, და, ცხადია, ამ მხრივ რაიმე შემწყნარებლობაზე ლაპარაკი სრულიად მიუღებელიაო. ე. ი. უფალო პროკურორო, როგორც მე აზრი გამომაქვს თქვენივე სიტყვებიდან, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯის ღირსია დავით პაკელიანი და ამ მხრივ თქვენი მხრიდან არავითარ შემწყნარებლობას არ ჰქონდა ადგილი. მით უმეტეს, თქვენი მხრიდან „თვალების დაბრმავებას", რადგან „დაკავება და დაპატიმრება (თქვენი ციტირებული სიტყვების მიხედვით. გ. თ.), როგორც აღკვეთის ღონისძიება, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში". კეთილი და პატიოსანი! უფალო პროკურორო, აქ ერთი რამ მინდა გკითხოთ, თქვენ თუ შეგიძლიათ ჩამოთვალოთ, რომელია ასეთი გამონაკლისი შემთხვევები და ასევე თუ შეგიძლიათ გვიპასუხოთ, შედის თუ არა მასში განზრახ მკვლელობის მცდელობა, თუნდაც ასეთი არასრულწლოვანმა ჩაიდინოს?!

ეს კიდევ არაფერი, მე რომ საქმეში ჩაუხედაობაში მადანაშაულებთ: „გია თასოევი საქმეს არ გასცნობია და, იქნებ არც იცის, რომ, სამსჯავრო პროცესზე მონაწილეობდა ჩემი თანაშემწე, რომელმაც მოითხოვა დამნაშავის მიმართ უფრო ხანგრძლივი დროით პატიმრობაო". უფალო პროკურორო, როცა ამ სტრიქონებს წერდით, რისი იმედი გქონდათ, ხომ არ გეგონათ, გია თასოევი „დაფიცული" იყო, რომ დავით პაკელიანის საქმეში არაფრით არ ჩაეხედა? თუ ასე იფიქრეთ, მაშინ მწარედ შემცდარხართ, უფალო პროკურორო! გია თასოევმა ამჯერად საფუძვლიანად ჩაიხედა საქმეში და შიგ (ტ. 2. ს. ფ. 92) პროფესორ თალაკვაძის მოთხოვნა ამოიკითხა: დავით პაკელიანს 6 (ექვსი) წელი მიესაჯოსო, თუ არ გჯერათ, მის სიტყვებს სიტყვასიტყვით მოგახსენებთ:

„სსკ 17-105 მუხლით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. შესაბამისად საქართველოს სსრ

(დასასრული მე-3 გვ-ზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები რედაქციას

წერილები რედაქციას

**(დასასრული)**

სსკ მე-40 მუხლით, საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის არასრულწლოვანთა განკუთვნილ საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოხდით — გასახლების გარეშე". თქვენ, იქნებ, არც ის იცოდით, როცა საპასუხო წერილს წერდით, რომ დავით პაკელიანი გია თასოევის წერილის გამოსვლის შემდეგ დააპატიმრეს, მანამდე კი მიმალვაში იმყოფებოდა, თუ ესეც არ იცოდით, მაშ რაღა იცოდით, უფალო პროკურორო!

მოწყალეო ხელმწიფევ, სანამ ზემოთჩამოთვლილ კითხვებზე პასუხს მოიფიქრებდეთ, მანამ ჩემი აზრი მინდა მოგახსენოთ, რომ ვერ დაგეთანხმებით, თითქოს გია თასოევს აკაკი გელოვანისადმი პირადი ანგარიშსწორება ამოძრავებდეს. არა და არა, გია თასოევს აკაკი გელოვანთან აქამდე არავითარი შეხების წერტილი არ ჰქონია და სხვას რომ თავი დავანებოთ, იუსტიციის პირველი კლასის მრჩეველს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ცილისწამება არც ერთი კუთხით არაა გამართლებული.

უკვე იმდენჯერ ვერ დაგეთანხმეთ, რომ ჩემი „სიჯიუტით" არამარტო თქვენ, ალბათ, მკითხველსაც მოვაბეზრე თავი, მაგრამ რა ვქნა, თქვენდა სამწუხაროდ, ისევ ვერ დაგეთანხმებით, როცა ამბობთ, რომ თქვენი სამსახურის საქმიანობაში არავინ უნდა ჩაერიოს. ნათქვამია: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო", — ისე მოგდით თქვენ, იმ განუკითხაობაზე (რაც თქვენი სამსახურისთვისაა დამახასიათებელი) გია თასოევმა თუ არა, ვიღაცამ ხომ მაინც უნდა ამოიღოს ხმა? ისე კი, უფალო პროკურორო, იმ წერილიდან (თქვენ რომ საოცრად არ მოგეწონათ) ერთ პაწაწინა ციტატას ისევ გაგიმეორებთ: „საბჭოთა თემიდის სამართლიანობის მკაფიო დასტურია სამხატვრო გალერეას წინ მიმდებარე საპროტესტო აქცია". იუსტიციის უფროს მრჩეველს ერთი რამ გვინდა (თუკი კადნიერებაში არ ჩაგვითვლით), გირჩიოთ როცა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაზე ჰკუის დამრიგებლის პოზიციებიდან გველაპარაკებით, გაცილებით აჯობებდა, რომ მრისხანება დაიოკოთ და დროის სახეცვლილებას ანგარიში გაუწიოთ. წარსული დროისადმი ნოსტალგიამ (თქვენი წერილის შინაარსის მიხედვით), არა გვგონია, კეთილი სამსახური გაგიწიოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა თქვენი უსაფუძვლო განრისხებისა არავის ეშინია!

პატივისცემით

**გია თასოევი.**

**რედაქციისაგან:** **ბატონი პროკურორი ჯერ ჩვენს რედაქციაში მოვიდა და საპასუხო წერილის გამოქვეყნება გვთხოვა, შემდეგ კი აღარ მოგვკარებია და პასუხიც გაზეთ „თბილისში" მიიტანა, სადაც, რა თქმა უნდა, მაშინვე დაუბეჭდეს...**

●

**პასუხი ნოდარ ხვედელიძეს!**

„საქართველოს" ა.წ. მე-5 ნომერში გამოქვეყნდა თქვენი წერილი, ძმაო ნოდარ.

13 სექტემბერი გახლდათ, როცა საპენსიო ასაკს მიღწეული კაცი ახალგაზრდა თანამშრომლებთან ერთად, სამუშაო საათებში, დომინოს მისჯდომოდით. თამაშში გართულს უფროსი წამოგადგათ თავზე. იმ დღიდან დაიწყო თქვენი უთანხმოებანი პატივცემულ კ. კახელაძესთან.

ნოდარ, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ლექსებით, შუმერების, პირამიდებისა და ქართული ანბანის პრობლემებით ხართ დაკავებული.

თქვენ ან თავს ისულელებთ, ან ჩვენ დაგვცინით, როცა გულუბრყვილოდ ამტკიცებთ, რომ „ახალიზხელსაწყოს" წამყვან ინჟინერს უფლება აქვს სქელტანიანი რვეულები გაავსოს შუმერების წარმომავლობაზე საკუთარი მოსაზრებებით, ხელფასი კი (210 მან.) ინსტიტუტის სალაროში მიიღოს. გამომცემლობები ჩვენდა საუბედუროდ ჰონორარს ჯერჯერობით მხოლოდ გამოქვეყნებულ ნაშრომებში იძლევიან და არა ხელნაწერებში. თუნდაც იგი თქვენი არაჩვეულებრივი კალიგრაფიით იყოს შესრულებული.

თქვენ თქვენი სპეციალობით არასდროს დაინტერესებულხართ და ერთი ნაშრომიც არ გამოგიქვეყნებიათ. კაცმა რომ გკითხოთ; რა თემატიკითაა დაკავებული ჩვენი ლაბორატორია, ან განყოფილება, ვერ აუხსნით. ამიტომაც ინსტიტუტში „შუმერას" გეძახიან.

ერთადერთი, რისი გაკეთებაც თქვენ შეგიძლიათ ინსტიტუტის პროფილით, მივლინებაში წასვლა და სხვის მიერ დამზადებული ხელსაწყოს მიტანაა ადრესატთან. ეს კი მტვირთავის დანიშნულებაა და არა წამყვანი ინჟინრისა. ჩვენი კოლექტივი გიცნობთ, როგორც ახირებულ კაცს, მაგრამ გინახავდით, რადგან სამი შვილის მამა ხართ.

სამეცნიერო მუშაობისათვის გამოუსადეგარიაო, ჩაგიწერეთ დახასიათებაში და საატესტაციო კომისიას ვთხოვეთ თქვენი გადაყვანა სხვა განყოფილებაში, ხელფასის შენარჩუნებით. იქ ბევრი მივლინებებია და ეგებ რამეში გამოსდგომოდით. თქვენ კი გაგვინაწყენდით და პასკვილების შეთხზვა დაიწყეთ...

**რედაქციისაგან:** **ამ წერილს, რომლის პირველი ნახევარიც შემოგთავაზეთ, ხელს აწერენ „ანალიზხელსაწყოს" თანამშრომლები. მათი დაჟინებული თხოვნით ვაქვეყნებთ ნაწყვეტს. ჩვენ არ ვიცით, რას ეძახიან ნოდარ ხვედელიძეს სამსახურში, მაგრამ რახაც ის წერდა, უცნაურად სიმართლეს შეეფერება. ამის დამადასტურებელი ფოტოფაქტები მოეპოვება რედაქციას, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გამოაქვეყნებს!..**

# მოქალაქეთა კერძო დავა... ანუ საზოგადო ჭირი

საქართველოს სახალხო ფრონტი „მოქალაქისა და მოქალაქის საბინაო ან სხვა სახის ყოფით დავაში... არ ერევა" („საქართველო" № 9 — 13.V.1990), მაგრამ... მაგრამ არის გამონაკლისი, არის შემთხვევა, როდესაც არჩარევა, განზე გადგომა არათუ უზნეობაა — ტოლფასია ბოროტმოქმედებაში თანამონაწილეობისა.

სწორედ ამგვარ შემთხვევაზე მოგითხრობთ...

თბილისში, გორგასალის ქუჩაზე მდებარე № 37 სახლში, № 49 ბინაში ცხოვრობს ოჯახი: გნოლიძე ქსენია (66 წ.), ატაშ მირზოიანი (65 წ.), მათი შვილი თამარი (33 წ.), მისი ქმარი ვახტანგ სოზაშვილი (39 წ.), მათი ბავშვები — მარინა (15 წ.), ია (11 წ.), ლია (10 წ.), თეა (2 წ.). იზოლირებულ სამოთახიან ბინაში ცხოვრობს 8 სული, მაგრამ... ამავე ბინაში ჩაწერილია კიდევ 5 კაცი (ერთ ოთახში!).

1973 წელს თამარის ძმას ვლადიმერს სამოთახიანი ბინის ერთი ოთახი გაუცვლია ნანული ხუსკივაძისთვის. 1973-დან 1976 წლამდე ნანული ხუსკივაძე ცხოვრობდა ამ ერთ ოთახში. ამ ხნის განმავლობაში მან თავისთან ჩაწერა შვილი, და, ძმა... ამჟამად იქ ჩაწერილია ნანულის (თვითონ ამოეწერა) ძმა დემურ ხუსკივაძე ცოლით და სამი შვილით. მაგრამ ოთახში არავინ ცხოვრობს, ოთახი ჩაკეტილია.

ნანული ხუსკივაძე ცდილობს სოზაშვილების რვასულიანი ოჯახი იძულებით გადაიყვანოს მის კუთვნილ 2,5 ოთახიან ბინაში, რომელიც მდებარეობს რუსთავის გზატკეცილზე („ფონიჭალაში"). სოზაშვილებს გადასვლა არ უნდათ...

ერთი შეხედვით, მოქალაქეთა საბინაო, ყოფით დავასთან გვაქვს საქმე. ისეთ დავასთან, რომელშიც სახალხო ფრონტი არ ერევა, მაგრამ...

სოზაშვილები უსინათლოები არიან! ქსენია გნოლიძე, ვახტანგ სოზაშვილი, ვახტანგის ორი ბავშვი სრულიად ვერ ხედავენ, ოჯახის დანარჩენი წევრები მცირედმხედველები არიან — ყველა პირველი ჯგუფის ინვალიდია...

და ამ საცოდავ, უბედურ, ავადმყოფ ადამიანებს ბინასართმევენ!

„... ჩვენთან, რედაქციაში, მობრძანდა ქალბატონი ქეთევან გელოვანი, უსინათლოთა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და დახმარება გვთხოვა (ქალბატონ ქეთევანის გარდა სოზაშვილებს გამკითავი არავინა ჰყავთ...).

საქმე ისაა, რომ 1989 წლის 31 მაისს კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე ც. მაზმიშვილი) გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ხუსკივაძეების სარჩელი ბინის იძულებითი გაცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოვიტანთ ნაწყვეტს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან: „დადგენილია, რომ მოსარჩლე დემურ ხუსკივაძის ხუთ წევრიანი ოჯახი და მოპასუხე ქსენია გნოლიძის რვა წევრიანი ოჯახი ჩაწერილები არიან და ცხოვრობენ ქ. თბილისში, გორგასალის ქ. № 37 მესამე სადარბაზოს მესამე სართულზე მდებარე კომუნალური ფონდის იზოლირებულ სამ ოთახიან ბინა 49-ში. მოსარჩელე ცხოვრობს 16 კვ. მეტრი ფართობის ერთ ოთახში, ხოლო მოპასუხეებს უკავიათ 31 კვ. მეტრი ფართობის ორი ოთახი. ორივე მხარე სარგებლობს შესასვლელით და დამხმარე სათავსოებით. მათ წლების განმავლობაში აქვთ კონფლიქტი და უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა. მოპასუხე გნოლიძის სახელზე რიცხულ ორ ოთახში და საერთო სარგებლობის სათავსოებში გამეფებულია საშინელი ანტისანიტარიული მდგომარეობა, ორივე ოთახში და სათავსოებში აყრილია იატაკი, მიმოფანტულია სხვადასხვა სახის უვარგისი, გამოუყენებელი, ქუჩაში მონაგროვი ნივთები. შეიმჩნევა მძაფრი არასასიამოვნო სუნი. ბინის სანიტარიული მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მავნე ინფექციური დაავადებების გავრცელებისთვის...

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო დადგენილად სთვლის, რომ მოპასუხე გნოლიძის ოჯახი სისტემატურად აფუჭებს საცხოვრებელ სადგომს და არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რითაც შეუძლებელს ხდის მოსარჩელე დემურ ხუსკივაძის ოჯახის ცხოვრებას ქ. თბილისში გორგასალის ქ. № 37 მესამე სადარბაზოს მესამე სართულზე მდებარე № 49-ე ბინის ერთ ოთახში. ამიტომ თანახმად საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 109-ე მუხლისა უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი და მოხდეს სადავო ბინის იძულებითი გაცვლა.

სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ წარმოდგენილი ბინების გაცვლით არც ერთი მხარის ინტერესები არ ილახება, პირიქით, უმჯობესდება თითოეულის საბინაო პირობები: 1. ქ. თბილისში რუსთავის გზატკეცილის სახლი „ვ" მეოთხე სადარბაზოს მერვე სართულზე მდებარე ოროთახნახევრიანი ბინა № 85-ის ფართობი შეადგენს 36 კვ. მეტრს, ე. ი. მეტია ამჟამად მოპასუხეთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი ოთახების ფართობზე. ამასთან გნოლიძის ოჯახს საერთო სარგებლობაში აქვს დამხმარე სათავსოები მოსარჩელე დემურ ხუსკივაძის ოჯახთან, რომლებთანაც იგი დაძაბულ ურთიერთობაშია, ხოლო ბინების გაცვლის შედეგად მას დამოუკიდებელ სარგებლობაში ექნება დამხმარე სათავსოები. ამჟამად ლიფტის უქონლობის გამო მესამე სართულზე ფეხით უხდებათ ასვლა, ნანული ხუსკივაძის სახელზე რიცხული ბინა კი მდებარეობს ლიფტიან კორპუსში. გარდა ამისა, ქ. გნოლიძეს, თ. მირზოიანსა და ვ. სოზაშვილს საცხოვრებელი ბინის ახლოს ექნებათ სამუშაო ადგილი, უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა".

ამრიგად, ამ გაცვლით გარდა იმისა, რომ მოისპობა მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის საფუძველი, გაუმჯობესდება თვითონ მოპასუხეთა საბინაო პირობები".

განა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილება ობიექტურად და სამართლიანად ჩაითვალოს, როდესაც:

ა) ერთი სიტყვითაც არაა აღნიშნული, რომ მოპასუხეები უსინათლოები არიან.

ბ) გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ მოპასუხეებს „ლიფტის უქონლობის გამო მესამე სართულზე ფეხით უხდებათ ასვლა", ეს სიყალბეა: გორგასალის ქ. № 37-ში ლიფტი არის, მაგრამ უსინათლოები ვერ მართავენ მას, ამიტომ დადიან ფეხით („ფონიჭალაში" იძულებით გადაყვანის შემთხვევაში მერვე სართულზე მოუწევთ ფეხით ასვლა-ჩამოსვლა).

გ) არ შეესაბამება სინამდვილეს სასამართლოს მტკიცება, რომ მოპასუხეების რუსთავის გზატკეცილზე გადასვლის შემდეგ „საცხოვრებელი ბინის ახლოს ექნებათ სამუშაო ადგილი, უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა" (ამ დოკუმენტში ესაა ერთადერთი მინიშნება იმაზე, რომ მოპასუხეები უსინათლოები არიან). საქმე ისაა — გორგასალის ქუჩაზე მდებარე სახლი უსინათლოთა საზოგადოებას ეკუთვნის. ამ სახლში მცხოვრები უსინათლოები სპეციალური ავტობუსით დაჰყავთ სამსახურში. ხოლო რუსთავის გზატკეცილზე მდებარე სახლიდან საწარმოო „ფონიჭალამდე" საკმაოდ დიდი მანძილია. უსინათლოებმა ან ქალაქის ტრანსპორტით უნდა იმგზავრონ, ან ფეხით იარონ (ვახტანგ სოზაშვილს ბარძაყში ლურსმანი აქვს ჩადგმული — ქუჩის გადაკვეთისას მანქანა დაეჯახა).

დ) რაც შეეხება ანტისანიტარიას... მე ვიყავი სოზაშვილებთან, ვნახე როგორ ცხოვრობენ. ის, რომ მათ ბინაში ანტისანიტარიაა, ის, რომ ქუჩიდან მონაგროვი ნივთების გარდა თითქმის არაფერი არა აქვთ; მათი უბედურებაა და არა დანაშაული!

უბედურ, ავადმყოფ, ღარიბ-ღატაკ ოჯახს დახმარება სჭირდება, მას კი ბინას ართმევენ!

საინტერესოა, რა ამოძრავებდა კიროვის რაიონის სასამართლოს, როდესაც ასეთი განაჩენი გამოჰქონდა? ნუთუ ჩვენი „კანონის მსახურთათვის" სრულიად უცხოა სამართლიანობა, გულმოწყალება, ელემენტარული ადამიანობა?!

ანდა, რა ამოძრავებდა კიროვის რაიონის აღმასკომს როდესაც 16 კვ. მეტრიან ოთახში ხუთი სული ჩაწერა? ბინაში, რომელშიც უკვე ცხოვრობდა რვა ინვალიდი?!

თუმცა, ეს, ალბათ, რიტორიკული შეკითხვებია...

...მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, სოზაშვილები მილიციის ძალით გამოუყარიათ ქუჩაში. მაგრამ რადგან განაჩენი უკვე გასაჩივრებული იყო, უსინათლოები თავის ბინას დაუბრუნდნენ.

პროტესტმა უმაღლეს სასამართლომდე მიაღწია.

იქიდან ქალაქის სასამართლოს გადაეგზავნა განსახილველად.

1990 წლის 22 ივნისს შედგა ქალაქის სასამართლოს კოლეგიის სხდომა შემდეგი შემადგენლობით — პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. კალმახელიძე, პროკურორი ვ. ფოცხვერია, პრეზიდიუმის წევრები ა. კომახიძე, ლ. ჩორგოლაშვილი, მ. გოგელია, ლ. ქაჯაია, ლ. მნაცაკანოვი, პრეზიდიუმის მდივანი ნ. კოპლატაძე.

კოლეგიამ მოუსმინა ორივე მხარეს, იმსჯელა და, მადლობა ღმერთს, მადლობა კოლეგიას, გააუქმა კიროვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ახლა საქმე ისევ კიროვის რაიონის სასამართლომ თავიდან უნდა გაარჩიოს (სასამართლო უახლოეს მომავალში გაიმართება. მკითხველს აუცილებლად ვაცნობებთ საბოლოო გადაწყვეტილებას).

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას ნანული ხუსკივაძეზე. იგი ორჯონიკიძის, კალინინის და საბურთალოს რაიონების უსინათლოთა პირველადი ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარეს (ოფიციალურად ნანული ხუსკივაძე I ჯგუფის ინვალიდია, მცირედმხედველი).

მე ვაპირებდი მასთან საუბარს კოლეგიის სხდომის შემდეგ, მაგრამ როდესაც მან გაიგო, რომ გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტი ვარ, საკმაოდ აგრესიულად მითხრა უარი შეხვედრაზე, არც ბინის მისამართი მომცა, არც სამსახურის (ნანული ხუსკივაძე რუსთავის გზატკეცილზე მდებარე მის კუთვნილ ბინაში არ ცხოვრობს, მიღების დღიდან აქირავებს. ამას ადასტურებენ მეზობლები).

რაც შეხება მის ძმას, დემურ ხუსკივაძეს, როგორც გავიგეთ, იგი საერთოდ არ ცხოვრობს თბილისში და არც სასამართლოს კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადებულა! (სასამართლოს გადაწყვეტილებაში კი ასეთი რამ წერია — „მოსარჩელე დემურ ხუსკივაძის ხუთ წევრიან ოჯახს ძალიან უჭირს ანტისანიტარულ პირობებსა და მოპასუხეებთან დაძაბულ ვითარებაში ცხოვრება. გაცვლის შედეგად კი მასთან საცხოვრებლად გადავლენ მისი დები ნანული და ნინელი ხუსკივაძეები ხუთ წევრიანი ოჯახით და ამგვარად მათი უფლებებიც არაფრით არ შეილახება": ვისი უფლებების, ან რა უფლებების შელახვაზეა ლაპარაკი?!).

1989 წლის დეკემბერში უსინათლოთა საზოგადოების საბჭომ ნანული ხუსკივაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა სამუშაოში ოფიციალური დარღვევებისთვის (თავისთან სამსახურში ნათესავები ფიქტიურად ჰყავდა გაფორმებული... როგორც გავიგეთ; მას კიდევ ბევრი რამ ედებოდა ბრალად, მაგრამ უსინათლოთა საზოგადოების საბჭომ ოფიციალური გამოძიებისგან რატომღაც თავი შეიკავა)

ნანული ხუსკივაძე, მისი ოჯახის წევრები ემუქრებიან და აშინებენ სოზაშვილებს, ნანული ხუსკივაძე ემუქრება ქალბატონ ქეთევან გელოვანს (საკუთარ თავზე ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ კოლეგიის სხდომის შემდეგ მეც დამემუქრა).

ნანული ხუსკივაძის პიროვნებაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ, ჩემი აზრით, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, იგი თვითონაა მსხვერპლი, ადამიანი, რომელსაც დახმარება სჭირდება. ნანული ხუსკივაძე მსხვერპლია ათეისტურ-მატერიალისტური ცივილიზაციის, ტოტალიტარული სისტემის, რომელმაც თავდაყირა დაყენა რა სამყარო, ცხოვრების მიზნად დასახა მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა და გამოაცხადა — „მიზანი ამართლებს საშუალებას".

ნანული ხუსკივაძეს მართლა ესაჭიროება დახმარება, მაგრამ როგორ დავეხმაროთ, როცა ჩვენთან ლაპარაკიც არ სურს? როგორ ავუხსნათ, რომ არც დიდ ბინას და არც ბევრ ფულს არ მოაქვს ბედნიერება, რომ ბედნიერება სულ სხვა რამეში მდგომარეობს...

... ამ წერილის შემდეგ, იმედი მაქვს, სოზაშვილებს არაერთი გულშემატკივარი გამოუჩნდება, არაერთი პიროვნება და საქველმოქმედო საზოგადოება გაუწევს დახმარებას (არა მხოლოდ მატერიალურს), მაგრამ რამდენი ადამიანია, რომელიც ასევე დაუყოვნებლივ ითხოვს თანალმობას და თანადგომას...

ჩვენთან რედაქციაში ყოველ დღე მოდის გაჭირვებული, დაჩაგრული, სამართალს დანატრებული ხალხი. მოდის და გვთხოვს დახმარებას, ჩვენგან ელის შველა-პატრონობას, იმედი აქვს, რომ ამ ჩალით დახურულ ქვეყანას თვალის დახამხამებაში ქვითკირის გუმბათს დავადგამთ, მაგრამ ვაი, რომ ჩვენ ეს არ შეგვიძლია — ყოველ დაჩაგრულს ცალცალკე სახალხო ფრონტი, ჩვენი გაზეთი ვერ დაეხმარება (ეს არ არის და არც შეიძლება იყოს სახალხო ფრონტის დანიშნულება).

ჩემი რწმენით, საქართველოს სახალხო ფრონტის მიზანი და ამოცანაა საქართველოს განთავისუფლება, თავისუფალი საქართველოს დემოკრატიულ, სამართლიან, ქრისტიანულ პრინციპებზე აშენება.

სანამ საქართველო საბჭოთა იმპერიის ნაწილია, სანამ საქართველოში ე. წ. „სოციალიზმი", ანუ უსამართლო, ანტიადამიანური, ბოროტი პოლიტიკურ-სოციალური სისტემა არსებობს, არაფერი ეშველება უამრავ გაჭირვებულსა და დაჩაგრულს, რადგან არსებული სისტემა ყოველ წამს წარმოშობს ახალ-ახალ უბედურებასა და ბოროტებას. სისტემა უბიძგებს, აიძულებს ადამიანებს ერთმანეთი მოატყუონ, დაჩაგრონ, დათრგუნონ...

ჩვენი საშველი მხოლოდ ერთია — საქართველომ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებლობა, გახდეს თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული სახელმწიფო... მაშინ მოევლება ყველა გაჭირვებულს და უსამართლოდ დაჩაგრულს, უბედურს და უპოვარს...

მაგრამ სანამ საბჭოთა იმპერიის ტყვეობაში ვართ, რა ვქნათ? როგორ ვიცხოვროთ?

ახლაც და მერეც (თავისუფალ საქართველოში!) უნდა ვიცხოვროთ ქრისტიანული, უნივერსალური პრინციპით — მოექეცი ადამიანს ისე, როგორც გინდა, რომ გექცეოდეს...

**ირაკლი ლომოური**

# ამეტყველებული სულითა მამისა

**„და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა — იგი იტყოდით. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისაი, რომელი იტყოდის თქუენ შორის“ (მათე, 10-19, 20).**

1918 წლის 8 თებერვალს თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, ეს უძღოდა წინ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს, 26 მაისს. ეს იყო ქართული გენის ზეიმის, მისი ნების თავისუფალი გამოხატულება; ქართული უნივერსიტეტის დაბადებით ახალ მძლავრ ნაკადს მიეცა დასაბამი ქართული კულტურის ისტორიაში. ამ ფაქტით გამოვლინდა ქართული ,ინტელექტუალური სამყაროს სიძლიერე. სიმბოლურია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა დაეფუძნა ქართული გონის ღირსეულ კერას. ეს საქმე დიდი სიყვარულით გაკეთდა. ლაო-ძის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „ვინცა სიყვარულს ფლობს: ძლიერია“. სწორედ სიყვარულით დამკვიდრებულმა უნივერსიტეტმა შეინახა ქართული სული ამ ტანჯული სამოცდაათი წლის მანძილზე. ამიტომაც ბუნებრივი იყო, რომ 1990 წლის 26 მაისის საზეიმო მსვლელობაც უნივერსიტეტის ეზოში დაწყებულიყო, სადაც განისვენებენ ქართული მეცნიერების კორიფეები.

მართალია, იმ დღეს საზეიმოდ არ გვქონდა საქმე, მაგრამ უნივერსიტეტის მადლი დაუშრეტელი ენერგიით გვავსებდა იქ შეკრებილთ და რთული სიტუაციიდან გამოსვლის გზებსაც გვისახავდა.

სწორედ აქ გაიმართა 26 მაისისადმი მიძღვნილი მიტინგი, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, ზვიად გამსახურდიამ, აღნიშნა უნივერსიტეტის დიდი როლი და მნიშვნელობა ქართული ეროვნული მოძრაობის განვითარების მამულიშვილურ საქმეში.

ღელავდა ხალხი, ღელავდა ბატონი ზვიადი და წინ მიგვიძღოდა 26 მაისის სახელობის სტადიონისაკენ, იმ ადგილისაკენ, სადაც ქართველ ერს 72 წლის წინ ემცნო დამოუკიდებლობის აღდგენა, „სადაც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში იმართებოდა მიტინგები და შეკრებები“. ის მიგვიძღოდა სიწმინდით, პატიოსნებითა და სიყვარულით . სავსე, დაფიქრებული, ამაღლებული. ვაცნობიერებდით, რომ ეს იყო ქრისტესმიერი გზა, გზა უფლისა, გზა ილიასი. თან ჩაგვესმოდა ქართველი დედის ხელში ატატებული სამი წლის გოგონას სუსტი, მაგრამ შინაგანი მუხტით აღსავსე „შავლეგო“ (ისევ ლაო-ძი: „რბილი სძლევს მაგარს. სუსტი სძლევს ძლიერს“).

თანდათან შეივსო სტადიონის ტრიბუნები. დიახაც, მრავლობდნენ ქართველი მანდილოსნები. ეს ის მანდილოსნებია, რომლებიც სინაზითა და შეუპოვრობით სავსენი წინ აღუდგნენ 9 აპრილის გამთენიისას მოვარდნილ მტერს, რომლებიც არ შეუშინდნენ ტანკებს და ღირსეულადაც შესწირეს თავი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიად იდეას.

შეკრებილი საზოგადოება იმ დღეს რაღაც განსაკუთრებულს ელოდა. და იქმნა იგი ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდებული სიტყვით, სიცოცხლისა და სიყვარულის აპოლოგიით.

ზვიად გამსახურდიამ დაგვანახა თავი თვისი, როგორც მავალმა ქრისტეს გზით, წმინდა ილია მართლის გზით.

ამ სიტყვაში იგი წარმოჩინდა, როგორც ღირსეული შვილი დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი, რომელიც ასევე ვიდოდა აღნიშნული ეკლიანი გზით და მოძღვრავდა ქართველ ერს: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვაჟმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“.

კონსტანტინე არსაკიძემ საქართველოს აუშენა სვეტიცხოველი, კონსტანტინე გამსახურდიამ სულიერი სვეტიცხოველი აუნთო ქართველ ხალხს, ხოლო ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ განასხეულეს იგი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ზვიად გამსახურდიამ, თავის სიტყვაში, გამოკვეთა ორი გზა, როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით. ესაა გზა ქრისტესი და გზა ბარაბასი, რომელმაც განსხეულება მიიღო ჩვენს ეროვნულ მოძრაობაშიც. სწორედ ბარაბას მიმდევრებმა იმსხვერპლეს დიდი ილია, წმინდა ილიას გზა კი წარმოგვიდგა, როგორც ქრისტეს ეკლიანი გზის ქართული მოდელი. ასეთი ალტერნატივის წინაშე ვდგავართ დღესაც.

აღნიშნული გზების განსაზღვრა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე პიროვნებაშია გაიგივებული მაცხოვარი ან ბარაბა, არამედ აქ იგულისხმებიან ქრისტეს გზაზე მავალნი და ისინი, რომლებიც იძახდნენ: მოგვიტევე ჩვენ ბარაბა.

ლექსით, „ნათლისღება“, ბატონი ზვიადი თავის პირმშოს ცოტნეს, მიმართავს:

„განმართლებულხარ,
განბანილხარ,
განწმენდილხარ,
ნათელღებულხარ,
მირონცხებულხარ.
...ედემს სასოდ დამირგიხარ
სახელითა მამისათა და ძისათა
და წმინდისა სულისათა“.

და აი, იმ დღესაც ბატონმა ზვიადმა ასეთი განბანილი და განწმენდილი მომავალი უსურვა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

**ზურაბ ბაბნიძე,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტი;**
**ალეკო დოლბაია,**
**ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი.**

## რეპლიკა

# ერთი ინციდენტის გამო

19 ივნისს, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სააქტო დარბაზში დანიშნული იყო შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან. გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად დარბაზში თავი მოიყარეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა წარმომადგენლებმაც. შეხვედრა 10 წუთის დაწყებული იყო, რომ სააქტო დარბაზში შემოიჭრა საკოორდინაციო ცენტრის დიდი ჯგუფი ირაკლი წერეთლის, გურამ გოგბაიძის და სხვათა მეთაურობით. „სტუმრობის“ მიზეზად მათ დაასახელეს, რომ ზვიად გამსახურდიას მოსასმენად მოვიდნენ (?!) ამ უსიამოვნო ინციდენტმა ფაქტობრივად ჩაშალა დაგეგმილი შეხვედრა, ვინაიდან დარბაზში შეიქმნა დაძაბული სიტუაცია და მშვიდი საუბარი შეუძლებელი გახდა. შეკრებილმა საზოგადოებამ, ირაკლი წერეთლისა და მისი თანამზრახველების პროტესტის ნიშნად, დატოვა დარბაზი. როგორც „სტუმრებმა“ განაცხადეს, ისინი თავს ვალდებულად თვლიან, უკან სდიონ ზვიად გამსახურდიას და ყოველ მის მოქმედებას თვალყური ადევნონ.

ვფიქრობთ, პრესის მუშაკებსა და გამომცემლობის თანამშრომლებს უფლება გვაქვს, ვისაც გვინდა, იმას მოვუსმინოთ შეხვედრა ყოველგვარი ინციდენტების გარეშე. მითუმეტეს, რომ უახლოეს პერიოდში საჭიროდ ვთვლიდით ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან შეხვედრასაც. ეროვნულ მოძრაობაში დაპირისპირებულობა და ძალადობის ფაქტები ვერ გამოიწვევს კონსოლიდაციას და უფრო გააღრმავებს ბზარს სხვადასხვა პარტიებს შორის. თანაც, ასეთი საქციელი, სხვა თუ არაფერი, უკულტურობაა.

ვიმედოვნებთ, მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება.

**მ. თექთუმანიძე, რ. ბაბროშვილი, ე. წერეთელი, დ. გოგიძე, ბ. აბდალაძე, მ. ზარიძე, ბ. გიგაური.**
**სულ 90 ხელმოწერა**

# ღია წერ...
# ირაკლი წერ...

**მიუხედავად** იმისა, რომ დღეს ბევრმა ასწია წინამძღოლის და ლიდერის საბუთი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ძალიან არ მოგწონთ ქალების ჩარევა პოლიტიკაში, მაინც თქვენ აგირჩიეთ ამ წერილის ადრესატად, რადგან გვჯერა, რომ ამჟამად მიმდინარე ეროვნულ პროცესებში ბევრი რამ თქვენზე და ბატონ ზვიადზე იყო დამოკიდებული და თქვენი განზე გადგომა რომ არა, დღეს ამდენი სისინი, ღვარძლი, ბოროტების თესლი და გესლი არ დაიღვრებოდა საქართველოში.

წინასწარ გთხოვთ, კარგად და მოთმინებით დაგვიგდოთ ყური! ამის იმედი რომ არ გვქონდეს, არც ამ წერილს მოგწერდით, თან ისიც ვიცით, ამჟამად ყველაზე მეტად მაინც თქვენ ცდილობთ მტრის მიერ მოქსოვილი ბადის გარღვევას; ცდილობთ, შეინარჩუნოთ ქრისტიანული დამოკიდებულება მოყვასისადმი, ცდილობთ, დაამტკიცოთ თქვენი პირდაპირობა და სიმართლე, ცდილობთ მოძებნოთ ის წერტილები, რომლებიც კეთილგანწყობას აღადგენს თქვენს ძველ მეგობრებთან. მაგრამ... აი, ეს მაგრამ არის, საქმეს რომ აფუჭებს.

არ იფიქროთ, ჩვენ ვინმეს განმანათლებლად ვევლინებოდეთ, ან ჭკუას ვასწავლიდეთ, ან ორ მხარეს შორის შუამავლობას და შემრიგებლობას ვეწეოდეთ. ჩვენ რაც ვიცით, მხოლოდ იმ დაკვირვების, ფაქტების საშუალებით რის თვითმხილველნიც ვართ, რასაც შევსწრებივართ, რაც გაგვიგონია. თან ისიც იცოდეთ, რომ არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნით, არც ერთ საზოგადოებას, ჩვენ თანაბრად გვიყვარს და პატივს ვცემთ ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოსთვის იღვწის და ირჯება.

ირაკლი ბატონო, დაგვეთანხმებით, რომ, ადამიანი როგორი უზნეოც არ უნდა იყოს თვითონ, მეორე ადამიანისგან თავაზიანობას, ზრდილობას, პატივისცემას, მორიდებას და პირადი ღირსების დაცვას მოითხოვს. ვერასდროს ვერ აპატიებს მეორე ადამიანს იმას, რაც თვითონ არის, ყოველგვარი თავგანწირვა, მსხვერპლად შეწირვა, თავდადება, სამშობლოსთვის იქნება ეს თუ მეგობრისთვის, ინდივიდუალურია. შინაგანი მოთხოვნილებიდან, მისი უმაღლესი ზნეობრივი შეგნებიდან გამომდინარეობს, პიროვნულია და თავდადებულმა არასოდეს არ უნდა იკადროს, თუ კი მართლა საკრალურა და წმინდა აქციად თვლის ამ თავდადებას, სხვას დააყვედროს, დაამადლოს, საკუთარი მოქმედების პოპულარიზაციით ივაჭროს, რეკლამა გაიკეთოს.

ამას რისთვის მოგახსენებთ, იცით? ჯერ ჩვენი დემოკრატიულობა იმ შეგნებამდე არ ამაღლებულა, რომ ვინმემ რამე შეისმინოს, ან გამოასწოროს, მაგრამ ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრახეო. დღეს გარშემო საოცრად არის გაბმული მსტოვართა მრავალხლართული ქსელი, ათას ბინძურ ჭორს, სიბილწეს, ცილისწამებას რომ მოათრევს თქვენამდე და გულს ბოღმითა და მძულვარებით გივსებთ. ჭორებით და ცილისწამებით ნაკვები კაცი შეიძლება ლიდერი იყოს? საკუთარს თავში თუ არ მოხარშა /გაცხონილი, არ შეაფასა, არ მოზომა, არ დაცხრა, შეიძლება იმ კაცმა პირუთვნელად და შორსმჭვრეტელურად შეაფასოს მეტოქის ღირსება?

ჩვენ მაინცდამაინც ვერ გავიზიარებთ იმათ პოზიციას, მხოლოდ ერთ ბანაკში რომ იყურებიან დიდგულად, მხოლოდ ერთ მხარეს რომ ამწყალობებენ, მხოლოდ ერთ მხარეს რომ მოუწოდებენ გონიერებისაკენ... ასეთი ცალმხრივობის გამო იყო, რომ ჰაიჰარად, ცხელ გულზე ჩაატარეს ეროვნული ყრილობა, და მთელი კატეგორიულობით, ზარზეიმით გვაკვრევინეს ტაში ავტორიტეტების დასასამარებლად. იმ წუთებში ნუთუ არ იფიქრეთ, რომ ეს მეთოდი რაღაცით ძალიან ჰგავდა იმ მეთოდს, წლების განმავლობაში ერთი კაცის დასათრგუნად რომ იყო მიმართული. სხვათაშორის, საბჭოთა წყობის ნაცადი ხერხი — პიროვნებების დაპირისპირება (განსაკუთრებით, მეგობრებისა და თანამებრძოლებისა), დღესაც წარმატებით გამოიყენეს.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა ვერ შეიგნო ვერაგულ-გამთიშველური პოლიტიკის ძალა, ვერ გაიაზრა მთელი სიღრმით და... ეროვნული მოძრაობის ერთიანობაც დაირღვა. მტრებმა მოახერხეს ირაკლი წერეთლისა და ზვიად გამსახურდიას გაცალკევება... თუმცა, ერთი სიკეთე და დადებითი მხარე ამ გამოყოფას უკვე აქვს. აქამდე ხალხს პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული, უკვირდა ზოგიერთი უხამსი მოვლენების განვითარება. ნუთუ ზვიად გამსახურდიაც მხარს უჭერსო, ფიქრობდა. ახლა უკვე რაღაცეები იკვეთება.

თქვენც ხომ იცით, რომ შემთხვევით ოცდაათი ტყვია ერთად არ ზუზუნებს? ქართველებმა ერთმანეთი არ შეაშინონ, შესაშინებელი ცოტაა? გარედან მაყურებლებმა ხომ არ ვიცით, შიგნით რა ხდება? არ ვიცით, რატომ გავიდა ბატონი ზვიადი ფორუმიდან, მაგრამ იქ ხომ დარჩა ირაკლი წერეთელი, რომელსაც ეროვნულ მოძრაობაში გულსუფთა კაცად ვიცნობთ... ნუთუ ტყვიების ზუზუნი იმიტომ ატყდა რომ საკოორდინაციო საბჭო. შექმნილიყო, რომ ახალი ინტრიგების ქსელი გაბმულიყო, ახალი მიმდინარეობები ჩამოყალიბებულიყო. ნუთუ თქვენ, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ წინამძღოლს, მიგაჩნიათ წონით ყოველივე ეს, ნუთუ ამ ყველაფერს ამართლებს ის ირაკლი წერეთელი, რომელმაც ეროვნულ კონფერენციაზე დაახლოებით ასე თქვა: ვიდრე პირში სული მიდგას, უზნეობის წინააღმდეგ მებრძოლი ვიქნებიო...

არა, ირაკლი ბატონო!,. ქართველი საზოგადოება ჯერ არც დაყრუებულა, არც დაბრმავებულა. სიმართლე გითხრათ, აქამდე გვეგონა, რომ ეროვნული მოძრაობა დაიწმინდებოდა, **ძველბიჭური** მანერები, ზერელე და ყოყლოჩინური ქცევები კულტურულ, ცივილიზებული ერისთვის დამახასიათებელ ჩვევებში გადაიზრდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით, ხალხი ხანდახან სასოწარკვეთილებამდე მიდის, თქვენც ხომ იცით, რაიონებში და სოფლებში როგორ გამოცოცხლდნენ ბნელი ძალები, როგორ აყღარუნებენ იარაღს, მართლმსაჯულება უძლურია მათ წინააღმდეგ, ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ზოგიერთი „აქტივისტი“ კი ხელს უწყობს სიბნელის, უმეცრების და უსამართლობის განწყობილებას... ეროვნული მოძრაობა ლამის თვითონ იქცეს ბოროტებისა და უკანონობის წყაროდ. არადა, ეროვნული მოძრაობის წინამძღოლი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ლიდერობაზე და სურს ერი საკუთარი არჩეული გზით გაიყოლიოს, პასუხისმგებელია არა მარტო პირადი, არამედ სხვისი მოქმედებისთვისაც. წინამძღოლმა უნდა მოთოკოს გრძნობები, ემოციები, დადგეს სხვებზე მაღლა და იმოქმედოს გონებით. ლიდერი მაგალითი უნდა იყოს ყველასთვის, მოწესრიგებული უნდა იყოს მორალურადაც და ფიზიკურადაც.

ზნეობა უპირველესად ისეთი ქმედებაა, რომელიც სიკეთეს ემსახურება. ადამიანი სამართლიანად იქცევა არა იმის გამო, რომ მას აიძულებს ვინმე, ან ხეირს გამოელის, არამედ იმის გამო, რომ ამას მოითხოვს სიკეთე, კაცთმოყვარეობა... ადამიანურობის დამკვიდრება! — აი, ეროვნული ზნეობის საფუძველი და იდეალი. თავისუფლება არ არის იმ სამყაროში, სადაც ეს იდეალი დარღვეულია, სადაც არ არსებობს ჰუმანურობა, გაგება ერთმანეთის სულისა. ინტერესების და მიზნების განსხვავებულობამ სიძულვილით არ უნდა კვებოს ადამიანები. თითოეული პარტიის ლიდერი ვალდებულია იზრუნოს საკუთარი წევრების შეგნების ამაღლებისთვის, არ მიუშვას დანაშაულობამდე და მოწინააღმდეგე აზრის მქონე პიროვნების შეურაცხყოფამდე... თვითნებობა ვოლუნტარიზმია და არაფერი აქვს საერთო პიროვნების თავისუფლებასთან. ის, რაც იუპიტერს ეპატიება, მოკვდავს არ მიეტევება: სიტუაცია არ ათავისუფლებს ლიდერს პასუხისმგებლობისგან...

ჩვენი წერილის მიზანი ახლა პოლიტიკაზე საუბარი არ არის. ან პოლიტიკისთვის სად გვცალია, ან პოლიტიკისა რა გვესმის? ამ წერილის ავტორები უმეტესობა დედები ვართ. მოგეხსენებათ ქართული ოჯახის ამბავი, შინ როგორი ლომგული ვაჟკაციც არ უნდა გყავდეს, ოჯახის საქმე ქალის კისერზე გადადის: აქეთ ბაზარი, იქით სადილი, სამსახური, ათასი წვრილმანი და მაინც ისე წავიდა დღევანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ქალი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა. რატომ, იცით, ირაკლი ბატონო? ჩვენი შვილები, ძმები, ქმრები, ნათესავები მანდ დგანან, თქვენს გვერდით... გული გახეთქვაზეა, ვიდრე ისინი შინ შემოვლენ, ვიდრე ლიდერების პოზიციას და დამოკიდებულებას შეაფასებენ. საქართველოს ოდესღაც ლეგენდარულ ამაზონთა სამშობლოდ თვლიდნენ. ქალი იყო დედა ღვთაება და ძე ღმერთის დამბადებელი. პირველი რევოლუციაც სამყაროს მთლიანობის რღვევისა და ღვთიური ჰეგემონისა, ქალმა დაიწყო. მისმა ნაყოფმა ითავა ისევ შემდგომ ცა-მიწის გამთლიანება. თავი დავანებოთ ლირიულ წიაღსვლებს და საქართველოს ისტორიას გადმოვხედოთ. ნინო წმინდა, თამარი, ქეთევანი!.. ალბათ მსოფლიოს არც ერთი ერის ისტორიაა არ ინახავს ხსოვნას იმდენი გმირი ქალისას, რამდენსაც საქართველოს ისტორია... ახლა ცხრა აპრილი? რატომ იდგნენ ისინი იმ ღამეს თქვენს გვერდით, იცით? იმიტომ, რომ ერის მომავალს იქ ელოდნენ, უხაროდათ, აფრთოვანებდათ. საერთოდ, მომავლის, ოჯახის, ზნეობის ბურჯი ქალია. ქართული ოჯახის ზნეობას ქართველი ქალი ედგა დარაჯად.

ამ დღეებში, ირაკლი ბატონო, მთავრობის სასახლის მოედანი საშინელი ბილწსიტყვაობის და ცინიზმის ასპარეზად გადაიქცა. ალბათ ქართველი ერის ისტორიას არ ახსოვს

ათი ქრისტიანული გული ჰქონდა, მაგრამ კაცს სიყალბეს რომ შეატყობდა და წყენა ჩარჩებოდა, იმ კაცზე გული აღარ მოუბრუნდებოდა ხოლმეო. რატომ გესაუბრებით ამ ყველაფერს, იცით, ირაკლი ბატონო?.. იმიტომ, რომ ვატყობთ, თქვენ ჯერჯერობით არ გაგჯდომიათ ის სიძულვილის სინდრომი, რომლის დანერგვასაც ცდილობს ეროვნულ მოძრაობაში ზოგიერთი ძე კაენისა. მაფია ყოველთვის შეიარაღებული ადამიანების ჯგუფს არ გულისხმობს...

თუ არა მტრული ძალა, რომელიც იმპერიას ემსახურება და იმპერიული, ნაცადი, მოძველებული ხერხებით ებრძვის ბატონ ზვიადს, საქართველოში ძმათა ომი არ გაჩაღდება. ვიდრე იმპერია არსებობს, იარსებებს ზვიად გამსახურდიას მიმართ მებრძოლი ძალაც! (და არა მარტო მის მიმართ)... ქართველმა ხალხმა რა დაგიშავეთ, წინასწარ რომ უმზადებთ სულიერ სატანჯველს? ახლა იმის უფლებასაც არ უტოვებთ, ვინ უყვარდეს და ვინ არა?.. თქვენც ხომ იცით, ოღონდ ზვიად გამსახურდიას ღირსება როგორმე დაამდაბლონ, როგორმე დაამცირონ და ყველა მხრიდან შემოავლებენ არშიას მის სახელს...

სხვათა შორის, პირველი ფქმა თქვენ გეკუთვნით „ეროვნული მოძრაობის პატრიოტზე". დღეს ამ „პატრიოტს" რაღა არ აკადრეთ. როგორ დავიჯეროთ, რომ ირაკლი წერეთელს მოსწონს ისეთი ქართული პოლიტიკა, რომელიც აგებულია ადამიანისადმი უპატივცემლობაზე, რომელიც პიროვნების თავისუფლების ლოზუნგით თრგუნავს პიროვნებას, რომელიც ივიწყებს ოდითგან ტრადიციული თავაზიანობის წესს, წინაპრების მიერ დადგენილ ცხოვრების კანონიერებას.

რა ვქნათ, წერილი გაგვიგრძელდა, მაგრამ ისევ გაგახსენებთ: ეროვნული მოძრაობის ადრეულ პერიოდში, როდესაც რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტად კაკო ბაქრაძე აირჩიეს, ფორმალებიც და არაფორმალებიც ისეთი გახარებულები ვიყავით, თითქოს მეორე დიდგორის ომი მოგვეგოს. ასე „მოვიგეთ" სახალხო ფრონტის ყრილობაზე ნოდარ ნათაძის „პრეზიდენტობაც"... მერე ისე წავიდა საქმე, კაკო ბაქრაძეს ვუსტვინეთ, გული ვატკინეთ, ნოდარ ნათაძეს ანტიეროვნული მოძრაობის ლიდერი ვუწოდეთ, გული ვატკინეთ, ახლა ჯერი ზვიად გამსახურდიაზე მიდგა. აბა როგორ? ამტკიცებს ზოგიერთი ახალგაზრდა კაცი, პოლიტიკის ინტრიგებზე ხელის მოთბობა რომ იყნოსა, ავტორიტეტების დრო „წავიდა, „ფეოდალური გრძნობის" ნაშთები უნდა მოვსპოთ, ძალაუფლება პიროვნებებს უნდა წავართვათო.

კი, ბატონო! წაართვით, დაქსაქსეთ ეს განმანათლებლური, კონსერვატული „მოხუცი ძალა"! სანაცვლოდ რას გვაძლევთ?.. შურს, ზიზღს, ავკაცობას, ღვარძლს, გესლს!.. ეს ისეთი საზიზღარი სენია, ირაკლი ბატონო, თუ თქვენ თავად არ მიიღეთ მონაწილეობა მის მოსპობაში, **შემოგიბრუნდებათ!!!**

როცა ადამიანი გამარჯვებაზე ფიქრობს, დამარცხებაზეც უნდა იფიქროს!.. მწკრივად დაწყობილი ფრინველების გადაფრენისთვის თუ გიყურებიათ, წინ მშვილდივით მოიდრკილ წინამძღოლს შეამჩნევდით ალბათ. ამბობენ, გუნდი შესვენებაზეც კი არ იცვლის წინამძღოლსო. ასეთი ყოფილა ბუნების კანონი... ჯერ თქვენ საკმაოდ ახალგაზრდა ბრძანდებით, ბევრჯერ დასჭირდება ქართველ ხალხს თქვენი ენერგია, თქვენი შეურყევლობა... ერთხელ, ერთმა ჩვენმა მეგობარმა სიტყვამოსწრებულად შენიშნა, ირაკლი წერეთელი რომ ყოფილიყო ოცდაერთ წელში, დამოუკიდებლობას ვერ დავკარგავდითო...

— ისეთი კარგია ხანდახან ირაკლი წერეთელი, მინდა მივიდე და თვალები დავუკოცნოო! — თქვა ერთხელ მიტინგზე მოსასმენად მოსულმა მოხუცმა ქალმა, — ოღონდ, ხანდახანაო, — აღარ დაამთავრა.

ჩვენც აღარ გავაგძელებთ, ოღონდ ერთს კი გთხოვთ, ნუ აუკრძალავენ თქვენი თანამებრძოლები ხალხს იმ კაცის სიყვარულს და პატივისცემას, ვინც უნდა რომ უყვარდეს, ნუ ინებებენ მანდილოსნების შეურაცხყოფას მხოლოდ იმ საბაბით, რომ თავიანთ პირმშოებს მამულისადმი მისებური ერთგულებით ზრდიან. გახსოვდეთ, მთელ თაობებს წლების განმავლობაში ამ კაცისადმი სიძულვილის ჩანერგვით გვზრდიდნენ, დღეს იგივეს აკეთებს ზოგიერთი გაურკვეველი პიროვნება. ჩვენ არ გვაინტერესებს, ზვიად გამსახურდიამ, ჟარგონულად რომ ვთქვათ, რომელი „რამკები" დაარღვია, „ვის ვერ მოერგო „ყაიდაში", ოღონდ ის კი დაბეჯითებით ვიცით, რომ საქართველოსთვის არ უღალატია. მაშ, რა იცის ზოგიერთმა იმ დალოცვილმა ისეთი, სულ ზვიად გამსახურდიას სასამართლოებზე და გასამართლებაზე რომ გველაპარაკება...

დაფიქრდით, გთხოვთ! ჩვენ თქვენსკენ ვართ, თქვენ ეშმაკისკენ ნუ იქნებით. ჩვენ გვჯერა ირაკლი წერეთლისა, იმ ირაკლისა, რომელმაც ხშირად იცის ხოლმე ლამაზ ქართულად თქმა: — ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს ყოველივე ასე გაუგებარია?!.

პატივისცემით

**ირინე ტალიაშვილი,**
**მანანა იმედაძე,**
**ნაზი ნავროზაშვილი,**
**მზისდარი პაპიძე.**

**პატივცემულო** რედაქცია, თქვენი გაზეთის პუბლიკაციები ყოველთვის გამოირჩევა სიმძაფრით, პრობლემების ღრმა ცოდნით, პირუთვნელობით და რაც მთავარია ინფორმაციის ობიექტურობით. მის ფურცლებზე ადგილი ყოველთვის ეთმობა სხვადასხვა მოსაზრებას, საინტერესო დისკუსიას. ამდენად გაზეთ „საქართველოს" მაღალი რეალიზაციის მაჩვენებლის სტაბილურობაში ჩვენც გვეკუთვნის მოკრძალებული წვლილი.

როგორც მუდმივ მკითხველებს, ცოტა არ იყოს, უცნაურად გვეჩვენა „საქართველოს" ბოლო, მე-11 (16) ნომერში საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" გაზეთ „მზის თვალიდან" ოდნავ შეცვლილი სათაურით გადმობეჭდილი ნოდარ ლაზარიაშვილის სტატია რომ ვიხილეთ. სტატიის ძირითადი მიზანი „საბჭოუპირად საუბარში პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მისაყვედურა აფხაზეთის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების საოლქო კომიტეტში ქართველები რატომ აირჩიეო. სად არის ლოგიკა? ღმერთმა დაგვიფაროს და მართლაც ასეთი აზრი რომ ჰქონდეს მავანს, რაღა ი. კაციტაძესთან გახსნის გულს. ვის შესწევს უნარი აფხაზეთის მედიცინის მუშაკებს (რომელთა უმრავლესობა მართლაც ქართველია) აზრი შეაცვლევინოს, ან არადა აფხაზეთიც არაა შორს, იქ მოიკითხონ, ვინ მტერია და ვინ მოყვარე. 9 აპრილსაც სწორედ იქ იმყოფებოდა პეტრე ჩხეიძე და ამ პერიოდშიც მისი საქმიანობის მიმართულების დადგენაც არაა ძნელი.

აქეთკენ „უკაკუნებს" ნ. ლაზარიაშვილიც, როცა თავის სტატიაში ამტკიცებს: პროფსაბჭოს მიერ ბოლ-

**დამოუკიდებელი პროფკავშირები**

# გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

რი პროფკავშირების" მიერ ნიღბის აფარების მცდელობის „გამომჟღავნებაა" და ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარის იოსებ კაციტაძის „საქართველოს" მე-10 (15) ნომერში გამოქვეყნებული სტატიისა — „პასუხი თოთხმეტ ხელის მომწერს".

საქართველოს პროფსაბჭოს მისამართით პირველივე სტატიაში გამოთქმული ბრალდებები იმდენად სერიოზული იყო, რომ ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა, თუ „საქართველოდან" ვინმე მოიკითხავდა ბრალდებულის აზრს, სანამ მეორე უფრო მძიმე ბრალდებებით სავსე წერილს გადმობეჭდავდა (!) „მზის თვალიდან". ან სტატიის ავტორის თანამდებობას მაინც დააზუსტებდა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იოსებ კაციტაძისა და ნოდარ ლაზარიაშვილის სტატიებში წამოჭრილი პრობლემები პროფკავშირული თუ სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ფორმირების, პროფკავშირების სტრუქტურული წყობის შესახებ სავსებით შეესაბამება დღევანდელობას, პროგრესული და მისაღებია. ზოგი რამ საკამათოა და ერთგვაროვანი აზრი ჯერ არც ჩამოყალიბებულა. სწორედ ამისათვისაა საჭირო ყრილობა!

ასეთი საკითხების შუქზე სხვისი ლანძღვა კი განსაკუთრებით მომგებიანია, მით უმეტეს, თუ რევოლუციონერის პოზა გიჭირავს და იცი, რომ ყველაფრის მიღწევა ერთბაშად შეუძლებელია, ხოლო შენი კრიტიკის ობიექტი დაქსაქსვას და დანაწილებას ერიდება, საზოგადოებაში ახალი დაპირისპირებული ფენების წარმოშობას არ უწყობს ხელს. ერთი სიტყვით, მიწასთან გასწორების ბოლშევიკურ პოლიტიკას არ ატარებს. სწორედ ასეთ ობიექტად იქცა პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ბატონი პეტრე ჩხეიძე, გაზეთ „საქართველოს" უკანასკნელ ნომრებში. ბატონ იოსებთან პოლემიკის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. ერთი კი უნდა დავამატოთ, 37-ში კაცს იმ შემთხვევაშიც „აფუჭებდნენ", თუ მავანი მოწმის გარეშე და დებდა ბრალდებას. აბსოლუტურად არ არის საჭირო დიქტატორული რეჟიმი ქართველი კაცის, ქართული საქმისათვის ანთებული ნებისმიერი პიროვნების გულის გასახეთქად, თუ მას ანტიქართული პოლიტიკის გატარებას ან 9 აპრილის ტრაგედიასთან კავშირს დააბრალებ. ამ გზას მიმართავს ი. კაციტაძე, როდესაც თავის სტატიაში ამტკიცებს — ნისში 27 საცხოვრებელი ბინის ყიდვა და სტიქიით დაზარალებული ქართული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მათი გადაცემა თვალთმაქცობაა, თუ არადა სახსრების არსებობის მიუხედავად რატომ აფხაზეთშიც არ იქნა შესყიდული სახლებიო. ვერაფერს იტყვი, რკინისებური ლოგიკაა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აფხაზეთში ასეთი აქციის ჩატარება ნოდარისათვის უცხო სიდინჯეს მოითხოვს, ხოლო დღეისათვის სულ ცოტა 5 ბინის შესყიდვის საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

ნოდარ ლაზარიაშვილის პოზიცია და საქმიანობა საერთოდ ცალკე მსჯელობის საგანია, თუმცა რომ არა ჭეშმარიტების გარკვევის აუცილებლობა, მისი არგუმენტების უსუსურობის გამო შეიძლებოდა სულ არ გვემსჯელა მის სტატიაზე.

ვინ სად მუშაობდა და რაც მოაჯერია როგორ მუშაობდა, ყველა-ყველა და ნოდარის გასარჩევი საკითხი ნამდვილად არ არის, თავად იცის, რატომ.

ნოდარს თუ დავუჯერებთ, პროფკავშირებმა მხოლოდ საწევრო შენატანებით უნდა იარსებონ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კონფედერაცია საერთო მნიშვნელობის მქონე საკითხთა გადასაწყვეტად შემოსავლის მიზერულ თანხას მოითხოვს, ხოლო კომერციული საქმიანობიდან შემოსავალი არ უნდა ჰქონდეს, გამოდის, ჯიბეგამოხეულ ორგანიზაციას ვქმნით. ასეთი კი, ხალხს ახლა სახელმწიფოც აღარ უნდა.

ნოდარის თქმით, ერთი ორგანიზაციის აზრი საკმარისია, რათა ხელმძღვანელს უნდობლობა გამოეცხადოს და გაძევებულ იქნეს, ხოლო ორგანიზაციების ყრილობა არაფერს ნიშნავს.

მისი აზრით, პროფსაბჭოს ხელმძღვანელი ვალდებულია პარტიული კრების გადაწყვეტილებით ხელმძღვანელის პიროვნების სამსახურში დატოვების საკითხზე.

თურმე ნუ იტყვით და, მას ქართველად შენიღბული სომეხის აღმოჩენაც არ დაუფასეს. მერე რა, რომ ამ პიროვნების ცხრა ბეჭედდასმული ქაღალდის მოტანა მოუხდა თავისი ქართული წარმოშობის დასადასტურებლად.

ცნობისათვის, არც სტატიაში მოყვანილი დარღვევების ფაქტებია მისი აღმოჩენა. ამ საკითხებზე საკმაოდ კომპეტენტური და ობიექტური კომისიები მუშაობს.

სავსებით აბსურდია იმის მტკიცება, თითქოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობას „აჯანყებულ" კომიტეტის თავმჯდომარეებთან ერთად (ამის სურვილი რომც ჰქონდეთ) „შენიღბული" პროფკავშირების შექმნა შეეძლოთ. სხვა დროა ახლა...

რაშია საქმე? რისთვის იბრძვის ნოდარი? მოვიგონოთ მისი სტატიის ერთი აბზაცი: „ბატონი პეტრე ჩხეიძე არც აპარატის მუშაკთა კოლექტიურ აზრს ითვალისწინებს, რომელთა ინიციატივით და მოთხოვნით იგი არჩეული იქნა პროფსაბჭოს თავმჯდომარედ". აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული! კოლექტიურ აზრში იგი თავის აზრს გულისხმობს! მაგრამ ისევ ავიწყდება, რომ სწორედ ამ კოლექტიური აზრის გათვალისწინებით დასტოვა მან სამსახური, როგორც, მისი სიტყვებით თუ ვიტყვით, „ინტრიგანმა". დარწმუნებული კი იყო, რომ მომავალი ლიკვიდაციის წინაშე მდგარი, მისი პიროვნების „შიშით" კოლექტივი მხარს დაუჭერდა და მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის სურვილიც აუხდებოდა (აკი რამდენჯერ უთქვამს განრისხების ჟამს — შრომა არ დამიფასესო).

ნოდარს არ უნდა გაიგოს, ან ისევ ავიწყდება, რომ კოლექტივში კარგად ახსოვთ ახალი თავმჯდომარის „შოყვანით" მოტრაბახე, როგორ იჩემებდა პირველობას, სხვისი ბედის გადაწყვეტის პრეროგატივას, არ უნდა გაიგოს, რომ ყველას არ ძალუძს მოთხოვნებზე, პეტიციებზე, უნდობლობის ქაღალდებზე ხელის მოწერა (არაა აუცილებელი ობივატელი ვუწოდოთ მას), სახლში ექვს საათზე წასვლა ურჩევნია შვილებთან, ახლობლებთან. თუ მებრძოლი ხარ, ასეთი ხალხის ტვირთი შენ უნდა ატარო. თანაც დაუმადლებლად. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, ნათქვამია.

იქმნება საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია. მისი ისტორიული ვალია, შეასრულოს არა თავსმოხვეული, არამედ თავისი ჭეშმარიტი ფუნქცია — მხარში ამოუდგეს საქართველოს მშრომელებს. ააშენოს ჭეშმარიტად სუვერენული, დემოკრატიული, დეპოლიტიზირებული ინსტიტუტი, რომელშიც ელემენტარულად არ იქნება თვალთმაქცობის საშუალება, ვერ იზეიმებს ამბიცია, კარიერიზმი.

იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული მიზნის მისაღწევად საკმაოდ დაძაბული და არცთუ სასიამოვნო კამათი გაიმართა ყველა დონის საკავშირო ორგანოებთან, უარი ეთქვა მათი დადგენილებების და ინსტრუქციების შესრულებას, ფულად სახსრებს, თანდათან ჩვენი მძლავრი ბიუროკრატიული მექანიზმის მიერ შექმნილი ბარიერები გადალახეს, ნოდარისა და მისთანების შემოტევა ზურგში დანის ჩაცემას ჰგავს. ღმერთმა ნუ გვაფიქრებინოს, რომ ასეთი აქციები განზრახული პოლიტიკის ნაყოფია, თუმცა, რა დასამალია და, არც ესაა ჩვენში უცხო ხილი.

არაფერი საგანგაშო იმაში, რომ პირველივე ნაბიჯით პროფკავშირული მოძრაობა მთლიან სრულყოფას ვერ მიაღწევს (სად და ვის მიუღწევია). რასაკვირველია, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით გამოწვეულ ნაკლოვანებათა შემჩნევა და კრიტიკა „გარედან" გაცილებით ადვილი და მოსახერხებელია, მაგრამ ყველამ ღრმად უნდა გაითვითცნობიეროს, რომ დღეს ნებისმიერ პროგრესულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან მჭიდრო, კოლეგიალური კავშირით, შიდა სტრუქტურებში ერთობითა და თანადგომით წარმატება რეალურად მიიღწევა, ამ წარმატების ფასი კი გაცილებით აღემატება პირად ინტერესებს, დღეს ვერავინ შესძლებს საზოგადოებას ნაცარი შეაყაროს თვალებში, მგელი იყოს და შეუმჩნევლობის იმედით ცხვრის ქურქით შეინიღბოს. ეს აბსურდია! ეს ერის თვალში მორალური თვითმკვლელის პოლიტიკაა. ასეთი თვითმკვლელი თუკი არსებობს კიდეც, მას სწორი გზა უნდა ვუჩვენოთ, რამეთუ „სწავლება უმეცართა" ქრისტიანული ვალია ყოველის.

გაუმარჯოს ერთიან, მძლავრ, სიყვარულით განათებულ საქართველოს!

**ლ. ბრეგვაძე, ხ. იზხნელი, ბ. ვოლხაი, სულ 10 ხელმოწერა.**

**რედაქციისაგან:** ჩვენ არსაიდან არაფერი გადმოგვიბეჭდავს, მითუმეტეს „მზის თვალიდან", რომელსაც, სამწუხაროდ, არ ვკითხულობთ. წერილი/ რედაქციაში ადრე იყო მოტანილი. არც წინასწარ განზრახული რაიმე ორგანიზებულ „დარტყმას" ჰქონია ადგილი. ასეთ რამეში ჩვენი რედაქცია არ ერევა და ეს ყველაზე უკეთ თვით ამ წერილის ავტორებმა უნდა იცოდნენ, რადგან ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველები ყოფილან. რაც შეეხება დამოუკიდებელ პროფკავშირებს, ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად მოგვარებულიყოს. თორემ და შავს მომავალი გვიჩვენებს...

# ხმა ღვთისა და ხმა ერისა

**ქართლის** ცხოვრება გვაუწყებს, რომ: ქრისტეს ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომის „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმინდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა. და ჩუენებით ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი, და რქუა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილისა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა-წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“ — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება).

სამღთო გადმოცემა გვაუწყებს, რომ უფალმა იესო ქრისტემ ქართველი ერი თავის საკუთარ (საზეპურო) ერად გამოირჩია, ღირს-გვყო რა ჩვენ, უღირსნი, დედაღვთისმშობლის წილხვდომილობისა. უფლის ბრძანებით საქართველოში ღვთისმშობლის წილ წამოვიდა მოციქული მაცხოვრისა წმ. ანდრია პირველწოდებული („პირველწოდებული“ იმიტომ დაერქვა, რომ მოციქულთაგან პირველად ის გახდა მოწაფე ქრისტესი). მან შემოაბრძანა საქართველოში დედა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი (მერმე აწყურის ხატად წოდებული): „...მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა... და შეწევნითა ღმრთისათა და წმინდისა მის ხატისათა... ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი იგი ვიდრე დღესცა დაუწყვედლად აღმოსდის. და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით კერძო მკვიდრნი მის ქუეყანისანი, და ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და დაადგინა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობელისასა.“

ამიტომ აჭარას სრულიად საქართველოს ნათლიასაც უწოდებენ, როგორც ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, დიდი მეუფე, მამაო ჩვენი ილია II, — „ღმერთმა დალოცოს ღვთივ კურთხეული აჭარა, სადაც პირველ საუკუნეში დაინთო ქრისტეს ლამპარი და იქცა [illegible] სრულიად საქართველოსა“.

აჭარიდან ანდრია მოციქული „წარემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინისჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯვარი იგი თვით ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს... და მოიწია აწყვერს“. აწყურში წმ. ანდრიამ ლოცვით, უფლისა და დედაღვთისმშობლის ხატის ძალით და მადლით მკვდრეთით აღადგინა იქაური ხელისუფალის ერთადერთი ძე და სასწაულებრივად შემუსრა კერპები, „ჟამ რაოდენმე დაადგრა მათ თანა, და ასწავა მათ ყოველი წესი სჯულისა და სარწმუნოებისა. და დაუდგინნა ეპისკოპოსი, მღუდელნი და დიაკონნი, და კუალად განემზადა ქადაგებად სახარებისა“ — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება). შემდეგ „და კუალად ლჱ (38) წელს მოვიდნენ მოციქულნი ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი“ (ვახტანგისეული ქართლის ცხოვრება). „მიიწივნეს ქვეყანასა ქართლისასა. და მერმე წარვლეს ტაოს კერძი ქუეყანა ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე, ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს, და დაუცადებლად ქადაგებდეს სახელსა ღვთისასა. და ესრეთ ქადაგებითა მიიწივნეს სვანეთისა ქუეყანასა... და მატათა სხუათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა. ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ქუეყანასა ოსეთისასა, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალი ერნი მოაქციეს და განანათლეს. მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა. .... ხოლო სვიმონ კანანელის საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა შორის აფხაზეთსა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა სვიმონ კანანელი“. — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება). საქართველოში იქადაგეს აგრეთვე უფლის წმინდა მოციქულებმა: თადეოზმა, ბართლომემ და თომამ. ამის შესახებ არსებობს სხვადასხვა დროის ისტორიკოსთა ცნობები.

ჯერ კიდევ წმ. მოციქულების ანდრიას, სვიმონის და მატათას საქართველოში მოსვლამდე უფლის განგებით მცხეთაში წარმოგზავნილ იქნა კვართი მაცხოვრისა:

„და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესო, მიიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად. თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად. თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხითოთ ესე, არამედ წილ ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს... ერისაგანთა მათ ესე ყვეს“ (იოანეს სახარება, 19 — 23.24.). ჯვარცმას ესწრებოდა ორი ქართველი ებრაელი: ლონგინოზ კარსნელი და ელიოზ მღვდელი. მათ შეიძინეს ამ ჯარისკაცისაგან უფლის კვართი და წამოაბრძანეს საქართველოში.

როგორც ცნობილია, ქრისტეს ჯვარცმის წინ იუდეის ხელისუფლებმა დაუგზავნეს წერილები მთელს მსოფლიოში გაფანტულ ებრაელებს: იესო ნაზარეველი „თავსა თვისსა ხადის ძედ ღმრთისად. მოვედით ყოველნი სიკუდილსა მისსა, რათა აღესრულოს მცნება მოსესი“ — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება).

ცნობილია ასევე, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა საშუალებით სამყაროს შემოქმედი ღმერთი აუწყებდა ებრაელ ერს, რომ ადამიანთა ცოდვებისაგან გამოხსნისათვის, თვით იგი, ხორცშესხმული, ჩამოვიდოდა დედამიწაზე — განკაცდებოდა ებრაელი ერის შვილად — იესო ქრისტედ. უფალი აუწყებდა, რომ იგი ხორციელად იშვებოდა ბეთლემში (წინასწარმეტყველი მიქეა 5.1), გარკვეულ დროს (დანიელი 9.25), ქალწულისაგან (ესაია 7,14), იქადაგებდა ახალ აღთქმას, მაგრამ უგულისხმონი ვერ შეიცნობდნენ მას, შეიპყრობდნენ, ჯვარზე გააკრავდნენ და ხორციელად მოკლავდნენ. მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებოდა, ზეცად ამაღლდებოდა და თავის ასობით ებრაელ მოწაფეთა საშუალებით მთელს მსოფლიოს მოჰფენდა კაცობრიობის გამომხსნელ ჭეშმარიტების ნათელს.

ისრაელის რჩეულ შვილებს სწამდათ ამისა და მოელოდებოდნენ კაცობრიობის მხსნელის, სამყაროს შემოქმედი ღმერთის — იესო ქრისტეს დედამიწაზე ადამიანის სახით მოსვლას. მათ რიცხვში იყო ქართველი ებრაელის, ელიოზ მღვდლის დედა. იერუსალიმში წასულ შვილს მან სთხოვა: „წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა სჯულისასა; ხოლო, რომელსა იგი განიზრახვენ, ნუ შეერთვი ცნობა შენი, ნუ შვილო. რამეთუ იგი არს სიტყუა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთა“ — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება).

თვალ ფაქტი ელიოზ მღვდლის და ლონგინოზ კარსნელის მიერ უფლის კვართის საქართველოში ჩამობრძანებისა, უკვე მეტყველებს მათს სიყვარულსა და სარწმუნოებაზე ქრისტეს მიმართ. ხოლო, თუ რამდენად დიდი სარწმუნოება ჰქონდა ქრისტეს მიმართ ელიოზის დედას — ქართველ ებრაელ ქალს, იქიდან ჩანს, რომ მას სულით უგრძნია უფლის ჯვარცმის წუთები: „ხოლო ოდეს დამსჭვალეს უფალი და პასინიკმან კუერითა დაჰკრა სამსჭუალთა, აქა დედასა ელიოზისასა ესმა, და იკრჩხიალნა და თქუა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმნენით მკვლელ შემოქმედისა. ვაი, თავსა ჩემსა, რომელ არა წინავე მოვკუედ, რათამცა არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა“. და ამას ზედა შეისვენა (გარდაიცვალა. რედ.)“ — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება). სიდონიას — ელიოზის დის სარწმუნოების სიძლიერეზე მეტყველებს ფაქტი: „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ, და მოიღო მცხეთას. და მიეგება დაი მისი, შესუარული ცრემლითა. მოეხვია ყელსა ძმასა თვისსა და მოუღო სამოსელი იგი იესოსი, შეიტკბო მკერდსა თვისსა და მსწრაფლ სულნი წარხდეს“. — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება).

სიდონია უფლის კვართთან ერთად დაასაფლავეს სამეფო ბაღში.

უფლის კვართის საქართველოში წარმოგზავნა წინასწარმეტყველება იყო იმისა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გახდებოდა, რადგანაც ვითარცა კვართით იყო შემოსილი სხეული უფლისა, მისი ძე კაცისად დედამიწაზე ყოფნის ჟამს, ასევე იყო ცხრა თვე შემოსილი იგი დედაღვთისმშობლის სხეულით შობამდე. საღვთო გადმოცემიდან ცნობილია რომ კვართი უფლისა დედაღვთისმშობლის მიერ იყო მოქსოვილი.

რას გვაჩვენებს კიდევ უფალი თავისი კვართის საქართველოში წარმოგზავნით და დამარხვით? როგორც წმ. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი (აწამეს 258 წ.) წერს: „იტყვის უფალი: „მე და მამაი ჩემი ერთ ვართ“ (იოანე 10.30). სხვა ადგილას მამისა, ძისა და სული წმინდის შესახებ წერია: „ესე სამნი ერთ არიან“ (I იოანე 5,7). ვინ იფიქრებს, რომ ეს ერთიანობა რომელიც ღვთაებრივ უცვალებლობაზეა დამყარებული და ზეციურ საიდუმლოებებთანაა შეერთებული, განა შეიძლება დაირღვეს და დანაწევრდეს იმის გამო, რომ ეკლესიაში მეტოქე მხარეები ვერ შეთანხმდნენ? არა, ამ ერთიანობის დამარღვეველი არ ინახავს სამღრთო სჯულს, არ იცავს მამისა და ძის რწმენას, არ ადგას ცხოვნების ჭეშმარიტ გზას. ეს საიდუმლო ერთიანობისა, ეს განუყოფელი თანხმობა, ასახულია სახარებისეულ ამბავში ქრისტეს კვართის შესახებ. კვართი არ გაუყვიათ და არ დაუნაწილებიათ, არამედ წილად ხვდა მთლიანად ერთ კაცს, და განუყოფელი და დაუნაწევრებელი დარჩა. ამასთან დაკავშირებით საღმრთო წერილი ამბობს: „ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხითოთ ესე, არამედ წილ ვიგდოთ ამას ზედა ვისიცა იყოს“ (იოანე 19–23.24). ამ კვართს მამისაგან ჰქონდა მაღლით მიცემული ერთიანობა და ამიტომ არ შეიძლებოდა დაენაწევრებინათ იმათ, ვისაც ის ერგო, არამედ ერთხელ და სამუდამოდ დარჩა მთლიანი და განუყოფელი. ამიტომ შეუძლებელია ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევს. თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა“ — (წმ. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი, „ეკლესიის ერთიანობის შესახებ“ — სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. ტ. I. თბილისი, 1990. მართლმადიდებელი ქრისტიანის ბიბლიოთეკა, გვ. 68).

უფალმა კვართის საქართველოში გამოგზავნით და დამარხვით განაცხადა საიდუმლო საქართველოს ეკლესიის განუყოფელობისა და დაურღვევლობისა. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად საქართველოს ეკლესიაზე მოწევნული თითქმის ორიათასწლოვანი საშინელი ქარტეხილებისა, საქართველოს ეკლესიას მწვალებლობის, ანუ ერეტიკოსობის, განხეთქილების ბიწიერება არ შეხებია, და იგი ერთგული რჩებოდა მარადჟამს უფლის მოციქულთა მიერ გადმოცემულ [illegible]: „ამიერითგან, ძმანო, მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღვრებაი ესე, რომელიცა [illegible] გინა სიტყვითა გინა წიგნითა ჩუენითა“ (2 თესალონიკელთა, 2.15), „იღუაწდით ერთგზის მოცემულისა მისთვის წმიდათა სარწმუნოებისა“ (იუდა 3). ამიტომაც გვწამს, რომ ამ აპოკალიფსურ საუკუნეში, როდესაც მსოფლიო მართმადიდებლურ ეკლესიებს ემუქრებათ ეკუმენიზმის — ანუ ანტიქრისტეს ეკლესიაში გაერთიანების საფრთხე, უფალი იესო ქრისტე დაიფარავს საქართველოს ეკლესიას და ქართველ ერს ამ დამღუპველი საფრთხისაგან.

წმინდა ნინოს შემოსვლამდე იმდროინდელ საქართველოში მოციქულთა ქადაგებების შედეგად რამოდენიმე საეპისკოპოსო დაარსდა (ბიჭვინთის, აწყურის, ტრაპიზონის), მაგრამ მთავრობა არ იყო ქრისტიანული და ამიტომ არც საქართველო იწოდებოდა ქრისტიანულ ქვეყნად (ჩვენ არარც ახლა ვითვლებით ქრისტიანულ ქვეყნად ათეისტური, ანტიქრისტიანული მთავრობის გამო), ამიტომ ღვთის განგებით, დედაღვთისმშობლის ბრძანებით და იერუსალიმის პატრიარქის, იუვენალის ლოცვა-კურთხევით მცხეთაში წარმოიგზავნა წმინდა მოციქულთასწორი დედა ნინო, კაპადოკიელი ქართველი, ნათესავი წმინდა მთავარმოწამე გიორგისი.

საქართველოში წამოსვლის წინ ყოვლადწმინდა დედაღვთისმშობელმა წმ. ნინოს ვაზის ჯვარი გადასცა, რომლის ძალითაც წმ. ნინომ შემუსრა მცხეთაში აგებული კერპები და მოაქცია საქართველოს მეფე-დედოფალი მირიანი და ნანა. ქრისტეს განგებით და ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცაში აღმართა უფლის კვართის საფლავზე ეკლესიის ასაგებად მოკვეთილი ლიბანის ნაძვის სვეტი, და სვეტი იგი — მირონმდინარე და მანათობელი, სასწაულებრივად შეუერთა მოკვეთილ ადგილს, „ხოლო ვითარცა ცისკარი აღელებოდა, და მიერულა ყოველთა მათ დედათა... და იგი იდგა ხელგანპყრობით. აჰა ესერა, ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლისა ზეწრითა, და რქუა რამე სამნი სიტყუანი. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თვისსა, და ჭაბუკმან მან შეჰყო ხელი სუეტსა მას და აღმართა და წარიღო სიმაღლესა შინა... და... იხილეს საკვირველი იგი, ნათლითა ბრწყინვალე სვეტი ჩამოვიდოდა ადგილად თვისად, რეცა ვითარცა ზეცით, და დადგა ხარისხსა მას ზედა, და დაემყარა ხელით შეუხებლად კაცთაგან... იხილეს მათცა სუეტი იგი, ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძვისასა“ — (მარიამისეული ქართლის ცხოვრება), და ცოცხალ სვეტზე აღაშენეს ეკლესია — სვეტიცხოველი. ქრისტიანულ თეოლოგიაში კვართის საფლავზე აღმართული მირონმდინარე და ნათელმფენი ცოცხალი სვეტი გაიგივებულია ნათლის სვეტთან, რომელიც ეგვიპტის მონობიდან მოსეს მიერ გამოყვანილ ისრაელ ერს წინ უძღოდა აღთქმული ქვეყნისაკენ — (დაუჯდომელი სუეტისა ცხოველისა და კვართისა საუფლოისა).

ღვთის დიდი სიყვარულისა და წყალობის მაჩვენებელია ის, რომ საქართველოში იყო ისრაელის უდიდესი მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის ტახტი. დავითის ტახტი სამეფო ტახტია ქრისტესი, რადგან, როგორც ბიბლია გვასწავლის, უფალი თავის მეორედ მოსვლის ჟამს დავითის ტახტს დაიმკვიდრებს, დავითის ტახტზე დაბრძანდება: „და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითისი, მამისა თვისისაი, და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევისა მისისაი არა იყოს დასასრულ“ (ლუკას სახარება 1. 32-33).

ბიბლია და საღვთო გადმოცემა გვასწავლის, რომ ურჩობის გამო სამოთხიდან ადამის და ევას გამოძევებისას, უფალმა აღუთქვა ადამს, რომ თავად უფალი მოვიდოდა დედამიწაზე ქალწულისაგან განკაცებული მეორე ადამად და ჯვარზე გაკვრით გამოისყიდდა ადამისა და მისი შთამომავლობის ცოდვებს. როგორც აკრძალული ხის ნაყოფის შეჭმით კაცობრიობაში სიკვდილი შემოვიდა, განკაცებული ღმერთის ხის ჯვარზე გაკვრით კაცობრიობა სიცოცხლეს — ცოდვებისაგან განთავისუფლებას მოიპოვებდა — „კურთხეულია ძელი, რომლითაც სამართლიანობა მოხდა“ (სიბრძნე სოლომონისა 14.7). როგორც ქალწული დედაკაცისაგან შეცდა ადამი და ამა შეცოდებით კაცობრიობაში ცოდვა, ანუ სიკვდილი შემოვიდა, ასევე ქალწული დედაკაცისაგან მოვიდოდა ხსნა — ახალი ევას — ყოვლადწმინდა მარიამ დედაღვთისმშობლისაგან განკაცდებოდა ცოდვებისაგან გამომხსნელი სამყაროს შემოქმედი ღმერთი — ქრისტე, მესია. სამი გზით მოხდა კაცობრიობის დაღუპვა: აკრძალული ხის ნაყოფის შეჭმით, დედაკაცის ეშმაკისაგან შეცდენით და დედაკაცისაგან ადამის შეცდენით. სამითგან მოვიდოდა სიცოცხლე: ღმერთის განკაცებით მეორე ადამად — იესო ქრისტედ, მარადქალწული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან, და ხის ჯვარისაგან.

ადამისა და ევასაგან გამრავლებული კაცობრიობა უღმერთობისათვის უფალმა წარღვნით გაანადგურა, წარღვნას ღვთის რჩეული ნოეს ოჯახი გადაურჩა უფლის კარნახით აგებული კიდობნის საშუალებით (ფერნან ნავარას და ასტრონავტ ირვინის ექსპედიციებით მიკვლეულია ნოეს კიდობანი არარატის მთაზე 4300 მ. სიმაღლეზე, ხოლო ლეონარდ ვულის გათხრებით აღმოჩენილია წარღვნის კვალი). ღმერთმა თავისი აღთქმის აღსასრულებლად ნოეს სამი შვილიდან — სემი, ქამი და იაფეტი — უფროსი— სემი— აირჩია და მის შთამომავალს აბრაამს, რომელიც ქალაქ ურში ცხოვრობდა, გამოეცხადა და აღუთქვა, რომ უფალი აბრაამის შთამომავლობაში განკაცდებოდა აღთქმის შესასრულებლად. უთხრა ღმერთმა აბრაამს: „გყო შენ ნათესავად დიდად და გაკურთხო შენ... ვაკურთხნე მაკურთხეველი შენნი და მწყევარნი შენნი ვწყევნე. და იკურთხეოდიან შენდამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი“ — (დაბადება 12—2.3). „აბრაამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი“— (მათე 1.2). იაკობის თორმეტი ვაჟიშვილიდან ღმერთმა იუდა გამოირჩია. იუდას შთამომავლობაში იშვა დავით წინასწარმეტყველი, რომელიც უფალმა სიჭაბუკეშივე ისრაელის მეფედ დაადგინა და აღუთქვა ის, რასაც აღუთქვამდა აბრაამს, ისააკს და იაკობს — რომ უფალი დავითის შთამომავლობაში განხორციელდება და ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომის, ზეცად ამაღლების და დედამიწაზე მეორედ მოსვლის შემდეგ, დავითის ტახტს დაიმკვიდრებს და იმეფებს უკუნისამდე: „ვყავ აღთქმაი რჩეულთა ჩემთა თანა და ვეფუცე დავითს, მონასა ჩემსა, უკუნისამდე განვმზადო ნათესავი შენი და აღვაშენო თესლითი თესლამდე და საყდარი შენი,... და ეგოს უკუნითი უკუნისამდე თესლი მისი და საყდარი მისი, ვითარცა დღენი ცისანი,... ნათესავი მისი უკუნისამდე ეგოს და საყდარი მისი ვითარცა მზე წინაშე ჩემსა“ — (ფსალმუნი-88). „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“ — (ფსალმუნი 131) (დავითი მეფობდა დაახლოებით ძვ. წ. აღრიცხვის 1010-970 წ.წ.). დავით წინასწარმეტყველის ძემ სოლომონ ბრძენმა, მეფემ ისრაელისამ, ააგო იერუსალიმის ტაძარი. დავით წინასწარმეტყველის სამეფო შთამომავლობას ბაბილონის იმპერიის მიერ იერუსალიმის დანგრევის (581 წ. ძვ. წ.აღ.) შემდეგ აღარ უმეფია. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი, რომელშიც აღსრულდა აღთქმა უფლისა ჩვენისა, რომელშიც სულისწმინდით ხორცნი შეისხა სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა ჩვენმა იესო ქრისტემ და განკაცდა, დავით მეფის შთამომავალია. ყოვლადწმინდა დედაღვთისმშობელი ისრაელის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელია. მართალი იოსები, ქვრივი, რომელსაც 80 წლის ასაკში, უფალმა ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი ჩააბარა, ასევე დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი, ე. ი. ისრაელის სამეფო საგვარეულო წარმომადგენელია. იესო ქრისტე, უფალი ჩვენი, თავისი კაცობრივი ბუნებით, ხორციელად, ისრაელის სამეფო ტახტის — დავითის ტახტის — მემკვიდრე და განმგებელია.

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, როდესაც რომაელებმა დაანგრიეს იერუსალიმი (დაახლ. 70 წ. ჩვ. წ. აღ.) და გაფანტეს ებრაელები მთელს მსოფლიოში, მოგვიანებით საქართველოში შემოვიდნენ მართალი იოსების ძმის, დავით წინასწარმეტყველის სამეფო ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრის, კლეოპას შთამომავლები: „ხოლო ამ მირდატისა თანა მოვიდა ნათესავი დავით წინასწარმეტყველისა შვიდთა ძმათაგანი გურამ და ითხოვა მისგან მკვიდრობა მის თანა. ხოლო მირდატ შეიწყნარა და შეიყუარა იგი სიკეთისა მისისათვის და მისცა დაჲ თავისი გურამს ცოლად და სამკვიდრებელი ტაო, რომელსაცა შემდგომად უწოდა ტაოს ერისთავად... არამედ ესე გურამ ნათესავ-ჩამომავალი იყო დავით წინასწარმეტყველისა. ესრეთ, რამეთუ მეფემან დავით შვა სოლომონ, სოლომონ იოსაფატ... მატათამ შვა იაკობ, იაკობ შვა იოსებ და კლეოპა, კლეოპამ შვა ნაომ..., სოლომონ შვა შვიდი ძმანი ესენი: ბაგრატ, აბვაგარ, მობალ, გურამ, სააკ, ასამ, ვარზავარდ. ...ხოლო ოთხნი ესენი გურამ, სააკ, ასამ და ვარზავარდ მოვიდნენ ქართლს. გურამ დაისიძა მირდატ, ძმემან ვახტანგ გორგასალისამან... ხოლო გურამ ტაოს ერისთაობასა შინა შვა ძე მირდატის დისაგან და უწოდა სახელად ბაგრატ, ...ბაგრატ ...დაუტევა ძე გურამ სახელით... და ამან გურამ... მერმე შეიცვალა სახელი მირდატოვნობისა ბაგრატიონად მამისა თვისისა სახელისათვის“ (ვატანგისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 693). „...დავით მეფემან შვა სოლომონ, სოლომონ შვა რობუამ... იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი და ძმა კლეოპასი, კლეოპა შვა ნაომ... სოლომონ შვა შვიდი ძმანი, რომელნი იგი მოსცა ღმერთმა ტყვეობასა შინა... და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს, ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატიონნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისი“ (მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 373).

ამიტომ საქართველოს სამეფო გერბზე, ბაგრატიონთა სამეფო გერბზე გამოსახულია კვართი უფლისა, დავით წინასწარმეტყველის შურდული (ვიდრე დავითი მეფე გახდებოდა, მწყემსი იყო და შურდულით მოჰკლა ფილისტიმელი გოლიათი), ფსალმუნი (საკრავი ინსტრუმენტი, რომელზედაც დავითი ღვთის საგალობლებს გალობდა) და ბაგრატიონთა სამეფო გერბს აწერია.— „სამეფო კვართიან-დავითიანი“.

საქართველოს მეფეთა—ბაგრატიონთა ტახტი — დავით წინასწარმეტყველის ტახტია; ქართველ მეფეთა, ბაგრატიონთა ტახტი — ქრისტეს ტახტია.

(გაგრძელება იქნება)

**ჰონორარი შეეწირება ჯვარის მამის ეკლესიას.**

**ბოროტების იმპერია**

# „ტყიური კანონის" ქვეყანა

**საბჭოთა** კავშირი გენესის წიაღში საკონცენტრაციო ბანაკების რიცხვითა და რეპრესირებულ ადამიანთა რაოდენობით მსოფლიო რეკორდსმენია და დღემდე არავის უთმობს პირველობას.

1918 წლის 31 იანვარს ახლად შობილმა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა ბრძანება „სასჯელის მოხდის ადგილების რიცხვის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ". არ გასულა ერთი წელიც კი და შეიქმნა პირველი საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც, ფ. ძერჟინსკის წინადადებით, სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის მიზნით გამოყენებული უნდა ყოფილიყო პატიმართა შრომა.

ლ. ტროცკიმ რკპ (ბ) IX ყრილობაზე მთელი ქვეყნის საკონცენტრაციო ბანაკად გადაქცევა მოითხოვა; მისი ეს წინადადება დელეგატთა უმრავლესობამ უარყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მწვანე გზა მისცეს ე. წ. „მილიციურ ეკონომიკას". მოკლე დროში ქვეყანა მოიფინა საკონცენრაციო ბანაკებით, რომლებიც პატიმართა ლეგიონებს უნდა შეევსოთ.

და აი, პირველად ისტორიაში სახელმწიფოს სათავეში მდგომმა კოჰორტამ მიზნად დაისახა დამნაშავეობის გამომწვევი პირობების შექმნა და დამნაშავეთა მომრავლება ქვეყანაში.

ოდითგანვე, როგორც ცალკეული ინდივიდი, ასევე მთელი საზოგადოება ღმერთისა და ეშმას ბრძოლის ასპარეზია. დღემდე ისტორიამ თითქმის არ იცის სხვა ისეთი საზოგადოება, გარდა საბჭოურისა, სადაც ამ ბრძოლაში ეშმას ეზეიმოს სრული გამარჯვება.

კაცობრიობას უნაკლო და სრულყოფილი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მოდელი დღემდე არ შეუქმნია; ამის მიღწევა არც მომავალში მოხერხდება, მაგრამ ადამის მოდგმა არც ისეთი სატანური და ჯოჯოხეთური სახელმწიფოს მოწმე და მხილველი ყოფილა, რომელსაც დღიდან არსებობისა ძალადობა, საკუთარი ხალხის ხოცვა-ჟლეტა, თავისუფალი აზრის დევნა, ტაძრებისა და ეკლესიების ნგრევა დაესახოს მიზნად. მთელი ქვეყანა ბოროტების, უზნეობის, განუსჯელობის, განუკითხაობის, ურწმუნოების, სიცრუის, დასმენისა და გამცემლობის ნავსაყუდელად იქცა. ნაცვლად საუკუნეების მანძილზე ადამიანის სულის გამაკეთილშობილებელი ქრისტიანული მოძღვრებისა, რომელიც თრგუნავდა ადამიანში მხეცს, გაბატონდა ძალადობასა და მასობრივ ტერორზე დამყარებული ახალი რელიგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელმაც შეცვალა რა ზნეობრივი კატეგორიები სოციალურ-კლასობრივით, სრულად წარყვნა ადამიანის სული და ხელი შეუწყო მასში მხეცური ინსტინქტების გაღვივებას, „რამდენადაც ადამიანი ცხოველთა სამყაროდან წარმოიშვა, ნათელია, რომ ის ვერასოდეს განთავისუფლდება ცხოველური ელემენტებისაგან" (ფრ. ენგელსი).

სახელმწიფო ყოველგვარი საშუალებებით აყალიბებდა სასტიკი და დაუნდობელი ადამიანის ისეთ ახალ ტიპს, რომელზედაც თ. დოსტოევსკის „ეშმაკების" გმირი პეტრე ვერხოვენსკი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ოცნებობდა: „ბოროტმოქმედება უკვე სიგიჟე არ არის, პირიქით, საღი აზრი, თითქმის მოვალეობა, ყოველ შემთხვევაში, კეთილშობილური პროტესტი გახდა... მაგრამ ერთი თუ ორი თაობა მაინც საჭიროა გარყვნილი იყოს; წარმოუდგენლად, გაუგონრად გარყვნილი ადამიანი ბილწ, ლაჩარ, გულქვა, თავმოყვარე არარაობად უნდა იქცეს, — აი, რა გვჭირდება ჩვენ!" ადამიანის ამ ახალი ტიპის ჩამოყალიბების ხელშემწყობი პირობები უხვად მოეპოვებოდა იმ ნახევრადველურ ქვეყანას, რომელმაც კაცობრიობის „გასაბედნიერებლად" მისი ნათელი მომავლის მშენებლის როლზე განაცხადა პრეტენზია და რომელზეც ვ. ი. ლენინი წერდა: „შეხედეთ რუსეთის სფს რესპუბლიკის რუკას. ვოლოგდის ჩრდილოეთით, დონის როსტოვისა და სარატოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორენბურგის და ომსკის სამხრეთით, ტომსკის ჩრდილოეთით გადაჭიმულია თვალუწვდენელი სივრცე, რომელზედაც მოთავსდებოდა რამდენიმე ათეული დიდი კულტურული სახელმწიფო და ამ სივრცეზე გამეფებულია პატრიარქალობა, ნახევრად ველურობა და ნამდვილი ველურობაც კი".

დიახ, მსოფლიოს ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს ასეთი ადამიანი ჭირდებოდა და ძმათამკვლელი სამოქალაქო ომით, ანთროპოფაგური იდეოლოგიით, ნაძალადევი კოლექტივიზაციით, ხელოვნურად გამოწვეული შიმშილობებით, ყოველ ბუჩქის ძირში ხალხის მტრის დანახვით, დასმენისა და გამცემლობის დაკანონებით და არნახული მასობრივი ტერორით გამოიყვანა კიდეც თავის სპეცლაბორატორიებში ასეთი ადამიანის ტიპი — Homo cowjeticus.

დაუნდობლობა და სისასტიკე უფროსების მაქსიმალიზმის მიმბაძველ ბავშვებსაც მოედო, როცა ორი ბიჭი, დამკვრელი ზეინკლის შვილები, ტრამვაის ბორბლებს ქვეშ აგდებენ თავიანთ თანაკლასელს იმის გამო, რომ ის ექიმის შვილია და კლასობრივი მტერი, ხოლო ა. პლატონოვის მოთხრობა „ქვაბულის" გმირს ნასტენკას კულაკის მოკვლა აუცილებლად მიაჩნია.

მსოფლიო ისტორია დღემდე არ ცნობს ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც დასმენა და გამცემლობა სავალდებულო გაეხადოს თავისი მოქალაქეებისათვის და საკანონმდებლო აქტებში აესახოს ეს მოთხოვნა. საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოები 1926 წელს უპრეცედენტო კანონს ღებულობს: 58-ე მუხლი სასტიკად სჯიდა მოქალაქეს არდასმენისათვის.

თავად განსაჯეთ, როგორი მორალური სახე უნდა ჰქონოდა იმ სახელმწიფოს, რომლის დამაარსებელს ასიათასობით თანამოქალაქეთა მანამდე არნახული მასობრივი ჟლეტა, სისხლიანი კალოს გამართვა, ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და კულაკად მონათლული ქვეყნის მარჩენალი მილიონობით გლეხის მუსრის გავლება, ათასობით ეკლესიის პირისაგან მიწისა აღგვა ხელისუფლების გულჩვილობას, ხშირად ფაფას უფრო მოაგონებდა, ვიდრე რკინას... აკი წერს კიდეც: „დიქტატურა არის რკინის ხელისუფლება, რევოლუციურ-გაბედული და სწრაფი, დაუნდობელი როგორც ექსპლუატატორების, ისე ხულიგნების დათრგუნვაში. ჩვენი ხელისუფლება კი უზომოდ გულჩვილია, ხშირად და ბევრად იგი ფაფას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე რკინას..."

საბჭოთა საზოგადოება იმთავითვე ჩამოყალიბდა როგორც ზნეობრივად დეგრადირებული და დეფორმირებული; იგი მეფის რუსეთის, ამ ხალხთა საპყრობილის ძალადობასა და ხიშტზე დამყარებული იმპერიის ნანგრევებზე, მილიონობით ადამიანთა გვამებზე შეიქმნა — როგორც ტოტალური, უნიტარული და არასამართლებრივი სახელმწიფო;

არასამართლებრივ სახელმწიფოს კი ადამიანები მართავენ და არა კანონები.

კანონის უქონლობა საზოგადოებას უზნეობის, განუკითხაობის და განუსჯელობის აშმორებულ ჭაობად აქცევს, თუნდაც მას ზნესრული ადამიანები მართავდნენ; მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში მდგომ ადამიანთა რა ზნესრულობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საბჭოთა ისტორიოგრაფია ათეული წლების მანძილზე მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, ვ. ი. ლენინის თანამებრძოლნი და უახლოესი მეგობრები ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, რადეკი, პიატაკოვი, კრესტინსკი და სხვები „самые отъявленые, самые отпетые и разложившиеся бесчестные элементы" ყოფილან და მათ «мразь», «вокючая падаль», «кавоз», «презренная куча авантюристов», «проклятая гадика», «взбесившиеся псы» ტიტულებით ამკობდა.

30 წელი ქვეყნის საჭის მპყრობელი, საბჭოთა ხალხის მამა და მასწავლებელი, ყველა მისი გამარჯვებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვარი — ი. ბ. სტალინი ჯალათი და პარანოიკი, ხოლო მისი უახლოესი თანამებრძოლები — მოლოტოვი, მალენკოვი, კაგანოვიჩი, ბულგანინი, ბერია, პერვუხინი, საბუროვი და სხვანი, ზოგი უპრინციპო ფრაქციონერი, ანტიპარტიული ჯგუფის წევრი, ინტრიგანი, კარიერისტი, ზოგი საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი, ყველა ერთად კი გარეწარი აღმოჩნდა (ყოფილა). 27 წელი „კაცობრიობის ნათელი მომავლის მშენებელი ქვეყნის" სათავეში იდგნენ ისეთი ლატაკი ინტელექტისა და სულიერი სიმდიდრის მქონე ლიდერები, როგორიც იყვნენ ნ. ხრუშჩოვი და ლ. ბრეჟნევი, რომელთაგან პირველის მოღვაწეობაში ადგილი ჰქონდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გამოვლინებებს, ხოლო მეორემ კი სტაგნაციისა და უძრაობის მდგომარეობამდე მიიყვანა ქვეყანა.

მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის საფუძველს მისთვის დამახასიათებელი წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა (ბაზისი) წარმოადგენს, რომელზეც დაშენებულია პოლიტიკურ, სამართლებრივ, ფილოსოფიურ, მსოფლმხედველობრივ, ზნეობრივ, რელიგიურ და ესთეტიკურ სფეროებად დანაწევრებული კატეგორიები (ზედნაშენი), ე. ი. საზოგადოების სახეს ეკონომიკური ურთიერთობანი განსაზღვრავენ და მის ბაზისს წარმოადგენს, ხოლო ჩვენ, როგორც ცნობილმა ეკონომისტმა ნ. შმელიოვმა სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობაზე განაცხადა, „... ეკონომიკაში საგიჟეთი ავაშენეთ და ამ საგიჟეთის კანონებით ვცხოვრობთ". ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რა სამართლებრივი ზედნაშენი უნდა ჰქონდეს ამ „საგიჟეთს". ამ კითხვას ზუსტად პასუხობს გელა გურულის ერთი ნაკლებად ცნობილი იგავი „ტყიური კანონი".

ერთი მეტისმეტად ულრანი ტყის მეფე-ლომი, იგრძნო თუ არა, რომ ტახტი შეერყა და ტყის ბინადრებმა მალულად თუ აშკარად მისი გინება დაიწყეს, ღრმად ჩაფიქრდა და შემდეგ ასეთი ტყიური კანონი გამოსცა: „ის, ვინც ჩემს სამფლობელოში ბალახს მოძოვს ან ნანადირევს მოიპოვებს და შეჭამს ან წყალს დალევს — ისჯება ათიდან თხუთმეტ წლამდე ბნელ ორმოში ჩამწყვდევით ან ჩამოხრჩობით".

გაოგნებულმა ვეზირმა შეაპარა: — ასე ხომ ყველა ერთიანად დაიხოცება.

მეფე-ლომმა ჩაიცინა და ვეზირი დაამშვიდა: — არ დაიხოცებიან, პირიქით, მალულად უფრო მეტს მოძოვენ, შეჭამენ და დალევენ კიდეც, ჩვენ კი ისე მოვიქცევთ, ვითომ ვერაფერს ვამჩნევთ, ხოლო იმათ, ვინც სამეფო ტახტსა და ჩემს ხელისუფლებას ხელყოფს, როცა მომეპრიანება, ამ კანონის მიხედვით დავიჭერ დ დავსჯი.

ვეზირი მიუხვდა ჩანაფიქრს და თავი მდაბლად დაუკრა ბრძენ მეფე-ლომს.

საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთმა „მეფე-ლომმა", რომელმაც ისედაც სულიერად და ეკონომიკურად გაპარტახებული ქვეყანა 17 წლის „ბრძნული" ხელმძღვანელობის შემდეგ უძრაობად წოდებულ კრიზისის პირას მიიყვანა, მასთან დაახლოებულ პირთა ვიწრო წრეში დაუფარავად, მთელი გულახდილობით განაცხადა: „თქვენ არ იცნობთ ცხოვრებას. ხელფასით არავინ ცხოვრობს. მახსოვს, ახალგაზრდობაში, ტექნიკუმში სწავლის პერიოდში, რკინიგზის ვაგონებიდან ტვირთის ჩამოღებით ფულს ვშოულობდით. თანაც როგორ? სამი ტომარა ან ყუთი იქით, ერთი კი აქეთ, შენკენ. ასე ცხოვრობს ყველა ქვეყანაში".

ქვეყნის ამ ლიდერს, თანამედროვეობის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეს, ათობით ორდენით მკერდდამშვენებულს, მისი ცხოვრება ქურდობაში გაწაფვით დაუწყია და ამ „ნობის" წყალობით თავბრუდამხვევი კარიერა გაუკეთებია, მიუღწევია რა პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობამდე. მის მიერ გავლილი ეს „სახელოვანი" გზა რით არ გახდებოდა მისაბაძი მისი ქვეშევრდომთათვის და პირველ რიგში კი ამა ქვეყნის ძლიერთათვის?

მართვის ერთპიროვნულმა, უკიდურესობამდე მიყვანილმა ცენტრალიზაციამ შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვა ქვეყნის მაღალი რანგის ხელმძღვანელები, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ რა დაკავებულ თანამდებობებს, უსინდისოდ იხვეჭდნენ სიმდიდრესა და ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს; მსოფლიო დღემდე არ იცნობს სხვა ისეთ ქვეყანას, სადაც ე. წ. „ნომენკლატურ კლასის" (მათ მიერვე შექმნილი „ტყიური კანონის" მეშვეობით) პრივილეგიებსა და პერსონალურ მომსახურებას ასეთი მახინჯი ფორმები ჰქონდეს მიღებული. შექსპირის გმირის სიტყვები: „კაცს რომ სჭირდება, მასზე მეტი მას რომ არ ჰქონდეს, ადამიანი ხომ პირუტყვად გადიქცეოდა!" პირველ რიგში ქვეყნის იერარქიული პირამიდის სათავეში მოქცეულმა ფუნქციონერმა პარტიული აპარატის მუშაკებმა აიტაცეს და პატიოსანი შრომით საარსებო მინიმუმის მოპოვების შესაძლებლობას მოკლებულ ხალხს ქურდობის, ძარცვის, მექრთამეობის, თაღლითობის და უზნეობის „ბრწყინვალე" გაკვეთილები მისცეს. უკანონობამ და უსამართლობამ ადამიანებს პატიოსნება დააკარგვინა, უკანონო გზით არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ მთლიანად გამოდევნა მათგან სინდისიერება და ღირსების გრძნობა. „მეფე-ლომის ტყიურმა კანონმა" ნოყიერი ნიადაგი შექმნა ქურდობისათვის, რამეთუ საბჭოთა მოქალაქეთა უმრავლესობამ კარგად უწყის, რომ სხვა გზით ის ვერ იარსებებს და დასაღუპად განწირულია. ქურდობა და ძარცვა კანონზომიერ მოვლენად იქცა ქვეყანაში, რომლის 40 მილიონი მოქალაქე სილატაკის ზღვარზე ცხოვრობს. და, თუ დღემდე მეცნიერების მიერ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის არსებობის შენარჩუნების აუცილებელ თანდაყოლილ ნიშან-თვისებად კვება, სუნთქვა და გამრავლება იყო მიჩნეული, საბჭოთა ადამიანისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა; საჭირო გახდა მის მიერ დამატებითი საარსებო თვისების — ქურდობის შეძენაც; და თუ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური სახეობა, საბჭოთა კავშირში წითელ წიგნში არ არის შეტანილი, ამას სწორედ ამ ახალ, ემბრიონულ მდგომარეობიდანვე შეძენილ ქურდობის თვისებას უნდა უმადლოდეს. ამადაცაა საბჭოთა კავშირში ქურდობამ ტოტალური გავრცელება ჰპოვა და მარტო უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ციხეებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ბინადარი იმ ქვეყნის 35 მილიონი მოქალაქე გამხდარა, „где так вольно дышит человек". მაგრამ ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის დანარჩენმა ნაწილმაც სასჯელის მოხდის ადგილებში მოხვედრის იმედი არ უნდა დაკარგოს, რამდენადაც ის პატიმართა არმიის მუდმივ რეზერვს წარმოადგენს. შემთხვევითი სულაც არაა, რომ ა. სოლჟენიცინი საბჭოთა კავშირის მოსახლეობას სამ ძირითად ნაწილად ჰყოფს: პატიმრები, ყოფილი პატიმრები და მომავალი პატიმრები. სწორედ საბჭოთა ქვეყანა თუ ჰქონდა მხედველობაში ფრანგ სოციალისტ-უტოპისტ სენ-სიმონს, როცა წერდა: ხალხები, ისე როგორც ინდივიდები, ორნაირად ცხოვრობენ — ან ქურდობით, ან შრომით.

„... და, ჰა! გამოისობით ყოვლისა ამისა, დაჰაობდა ქვეყანა სრულად ანუ შეწყდა რებაი წყალთა მაცოცხლებელთა, დადგნენ წყარონი სათავისონი, დაგუბდნენ მდინარენი და ნაგუბართა ზინა შთაეფინენ მყაყნი და უემურნი, და აღმოცენდნენ მყრალისაგან უძრავისა ნაყოფნი ცოდვისანი..." (იოვანე ოქროპირი).

ქვეყანაში დამნაშავეობის სფეროში შექმნილი სინამდვილის ერთგვარ შელამაზებას შეეცადა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ბაკატინი, რომელმაც სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე განაცხადა: «Преступная деятельность значительного числа лиц превращается в основной источник существования». ჭეშმარიტებას ბევრად უფრო მოუხდოდა ხარჯს მინისტრი, რომ ნაცვლად «Значительного числа лиц» — «каждого второго советского человека" ეთქვა. მას, მართალია, დღევანდელ „არქიპელაგ გულაგის" ბინადართა რიცხვი ყრილობისთვის არ მოუხსენებია, სამაგიეროდ ქვეყანაში დანაშაულობათა ზრდის ფაქტი არ დაუმალავს. მარტო 1989 წელს მათმა რიცხვმა 1.303.958 შეადგინა (აქ 9 აპრილს თბილისში ხოცვა-ჟლეტის გამართვის ბრძანების გამცემნი და მისი აღმასრულებლები არ არის მითვლილი). ყურადღებას იქცევს დამნაშავეთა შესახებ მინისტრის მიერ ყრილობისათვის მიწოდებული დემოგრაფიული ცნობები: თავისუფლებააღკვეთილ პირთა შორის 689519 მუშა, 113499 მოსამსახურე, 74746 კოლმეურნე, 138562 მოსწავლე და 208284 შრომისუნარიანი უმუშევარია; დამნაშავეთა 15,9 პროცენტს უმაღლესი, ხოლო 86,9 პროცენტს საშუალო განათლება აქვს; პატიმართა არმიას საკმაოდ „გამოცდილი" და მრავალრიცხოვანი „ოფიცერთა" კადრები ყავს, რამდენადაც 310 ათასი პატიმარი სამჯერ და მეტჯერ არის ნასამართლევი. ყრილობაზე ისიც დაუფარავად ითქვა, რომ სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთა შორის მექრთამეობას და მომხვეჭელობას მასობრივი ხასიათი აქვს მიღებული, ხოლო 1980-1987 წლებში ეკონომიკის სფეროში მთელი კავშირის მასშტაბით დანაშაული სკკპ წევრთა შორის 75 პროცენტით, ხოლო კომკავშირელთა შორის 4-ჯერ გაზრდილა.

ყრილობამ დიდი შეშფოთება გამოთქვა ქვეყანაში მართლწესრიგის სფეროში შექმნილი მდგომარეობის გამო და დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით რადიკალური ზომები დასახა სპეციალურად მიღებულ დადგენილებაში. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს უნიჭო რეჟისორის მიერ მსოფლიოს დასანახად დადგმული სპექტაკლია. რამეთუ ერთობ საეჭვოა, ვინმე ნამდვილად და გულწრფელად ესწრაფოდეს დანაშაულობათა აღკვეთას საბჭოთა ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთადერთი უნიკალური სახელმწიფოა, რომლის მთელი ძალისხმევა შექმნის დღიდანვე არა დანაშაულობათა და ბოროტმოქმედებათა რიცხვის კლებისაკენ, არამედ მათი მუდმივი ზრდისკენაა მიმართული. აქ ყველა ეკონომიკური კანონი მოქმედებს დანაშაულის ჩადენის პირობების შექმნისათვის.. ამ მოსაზრების ავტორობას ვერ დავიჩემებ, რადგან იგი რუს მწერალს ვიქტორ ასტაფიევს ეკუთვნის. იგი წერს:

„ჭეშმარიტად მსოფლიო დღემდე არ იცნობდა და ძნელად თუ გაიცნობს მუშათა კლასის შევსების უფრო „ბრძნულ" და „მარტივ" ხერხს — რაც უფრო მეტია თავზეხელაღებული, მძარცველი, მკვლელი და ქურდი, მით უფრო გაადვილებულია „მუშახელის" პრობლემა, მით უფრო სწრაფად გაიშლება „ჩვენი მშენებლობები", რომლებსაც შემოვლებული აქვს ეკლიანი მავთულხლართები, რომლებზეც წამომართულან სამეთვალყურო (საგუშაგო) კოშკები და ხმამაღლა ყეფენ იმ ხორცით დანაყრებული ძაღლები, რაც ასე აკლიათ არა მარტო მუშებს და გლეხებს, არამედ ბავშვებსაც საბავშვო ბაღებში" („Москва", №1, 1988 г. стр. 32-33).

და რადგან „ტყიური კანონის" სახელმწიფო 1917 წელს არჩეულ „სოციალიზმის" გზას კვლავ მტკიცედ ადგას და ამ გზიდან გადახვევას სულაც არ აპირებს, **სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის „კომუნიზმის** ნათელი შენობის" აგებას წარმატებით დააგვირგვინებს, რამეთუ ამ „შენობის ხარაჩოებზე" მდგომი მუშახელის (ე. წ. შრომითი რეზერვების) საკითხი დადებითად აქვს გადაჭრილი; ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების იმ პასაჟმა, სადაც ნათლად და გარკვევით აღინიშნა, რომ ქვეყანაში 17 წლის ასაკის ახალგაზრდებს შორის დანაშაული 4-ჯერ აღემატება 30 წლის ასაკს გადაცილებულთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა რიცხვს.

ადამიანიც ხომ იმედით ცოცხლობს, მით უფრო საბჭოთა ადამიანი, რომელსაც 80-იან წლებისათვის კომუნიზმის კაშკაშა მზის მცხუნვარე სხივებს ქვეშ უნდა ეცხოვრა...

**კოტე გვაზავა**

## ПРАВЛЕНИЮ НАРОДНОГО ФРОНТА АЗЕРБАЙДЖАНА

Обращаюсь к Вам по поводу решения Бакинского горсовета народных депутатов № 11/377 от 4.10.89 года, запрещающего обмен квартир на города и районы Грузии.

Десятки обменных документов лиц грузинской национальности, проживающих в г. Баку, многие месяцы лежат без рассмотрения в обменном бюро, а в данное время, насколько мне известно, находятся у юриста Бакгорсовета Ахмедова.

Правление Народного Фронта Грузии надеется, что правление Народного Фронта Азербайджана примет личное участие в срочном рассмотрении собранных обменных документов и примет меры к устранению препятствий, мешающих грузинским семьям вернуться на Родину.

Мы убеждены, что Ваше решительное вмешательство будет способствовать положительному решению вопроса.

Желаем Вам успеха в обретении свободы и независимости.

С наилучшими пожеланиями председатель НФГ

Н. НАТАДЗЕ.

**თბილისი, ხსრკ, 9 აპრილი. — საქართველოში დარდს ყოველთვის თან სდევს ღვინო და ცრემლი**

დღეს ეს უძველესი ტრადიცია გაცისკროვნებული იყო ვიდეოფირის თანამედროვე სახეებით. ფირმა, ღვინომ და ცრემლმა მძლავრი ახალი ცერემონია გამოკვეთა მთელ რესპუბლიკაში იმ 19 ქართული სიცოცხლის მოსაგონრად, რომლებიც უკვე აღარ არიან, და იმ ქართული სახელმწიფოს მხარდასაჭერად, რომელიც ჯერ არ არსებობს.

ამ ნაშუადღევს მთელ საქართველოს შეეძლო შინ, ტელევიზიით ეხილა ერთი წლის წინათ გადაღებული შემზარავი კადრები, როდესაც დამოუკიდებლობის მხარდამჭერ მხიარულად მოცეკვავე და მომღერალ ხალხს უეცრად მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების დასამკვიდრებლად საბჭოთა ჯარები დაერივნენ.

მოვლენა უტყუარად აღიბეჭდა ფირზე. საქართველოს გარეთ მყოფნი ვერ ჩასწვდნენ მომენტის კრიზისულ ხასიათს. მასების ემოციურ შეკავშირებას, რაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში მოსკოვის წინააღმდეგ აღმდგარი საქართველოს სულისკვეთებაში აისახა.

„ეს ბოლო ცეკვა იყო“, — თქვა მაია დოქსოპულომ, მღელვარედ რომ უმზერდა ეკრანს მეგობრის ბინაში. ამ დროს კი ეკრანზე ერთი წლის წინანდელი ამბები მეორდებოდა — დემონსტრანტები გამოხატავდნენ დამოუკიდებლობის მშვიდობიან მოთხოვნას.

„მათ ბოლომდე არ ესმოდათ, რა შეიძლება მოხდეს“,—თქვა მან, როდესაც კადრში გვერდიგვერდ ნელა მოძრავი ოთხი საბჭოთა ტანკი გამოჩნდა, მათ ფალანგებად მოჰყვებოდნენ ჯარისკაცები და ნიჩბებს აღმოსავლური ხმლებივით იქნევდნენ.

მაშინ დუღუპულთა შესანდობარი მასპინძელმა, იამზე მაჭავარიანმა შემოგვთავაზა. ქართველებმა კიდევ ერთხელ შესვეს თავიანთი ოცნების — დამოუკიდებლობის სადღეგრძელო.

„ბოლოს მათ მშვენიერი სიმღერა წამოიწყეს“, — თქვა ქალბატონმა დოქსოპულომ, როცა სანთლების შუქით მოსილი და მუსიკით აღფრთოვანებული მომიტინგეები გამოჩნდნენ ეკრანზე. მან წაიკითხა რამდენიმე სტროფი ამ ლექსისა: „პირველად იყო სიმღერა... და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი, და მერე იყო ღიმილი... და ღიმილისთვის შეიქმნა ადამიანი“.

ტელევიზორის ეკრანზე კი საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ მსვლელობას, ნიჩბების ქნევას, და სიმღერას კვნესა ცვლიდა. იამზე მაჭავარიანის ბინაში, მთელ რესპუბლიკაში ქართველები ტიროდნენ.



# საქართველო დარდის სამკალიდან სიამაყეს იკრებს

### ციური მანანა და ფაფა

ქუჩებსა და სოფლებში მზე აცხუნებდა ქარით გამოფიტულ ფერდობებზე, ვენახებში და მდინარის პირას ლობეებში მოხდენილად ჩაკარგულ ძველ პარმაღიან სახლებს.

მეზობელი თონეებიდან ვიწრო ქუჩებით სახლისკენ მიმავალ ქვეითებს ხელში ეჭირათ ცხელ-ცხელი შოთები. მზის გულზე ბუნების მშვენიერების შეგრძნება თითქოს დაღუპულთა ხსოვნას ეჭიბრებოდა.

ქალაქის გარეუბანში, იაფფასიან სასტუმროსთან რუსი ტურისტებით გაჭედილი ავტობუსი გაჩერდა. შემდეგ მგზავრები კომუნიზმის შესაფერის სასაუზმესთან, მოხარშული სოსისისა და კარტოფილის პიურეს რიგში გამწკრივდნენ.

ხეების ჩრდილში, რუსების სასტუმროს რომ ფარავდა, ქართველები ყავას ადუღებდნენ და ხრაშუნა პურით მარხულობდნენ.

### ბავშვებმა იციან სიტყვები

წყნეთში, რომელიც თბილისს გადმოჰყურებს, 5–7 წლის ბავშვები უპატრონო ბავშვთა სახლის საფეხურებზე ჩამოვიდნენ, პიანინოს თანხლებით რომ ეცეკვათ. მასწავლებელმა დაუკრა, მათ ქართული ცეკვა შეასრულეს და ერთხმად თქვეს ილია ჭავჭავაძის, უსაყვარლესი ქართველი პოეტის, ლექსი: „მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“...

ისინი მიტოვებული ბავშვები არიან, ერთი ნაწილი იმ 1500-დან, რომლებსაც საქართველოს ბავშვთა ფონდი უვლის (ქველმოქმედება, რაც არ არის დამახასიათებელი საბჭოთა კავშირისათვის). ამ საქმისთვის ფულს სწირავენ საზღვარგარეთელი მოქალაქეები და კეთილშობილი ქართველები.

მასობრივი გლოვისას გაუთავებელ დისკუსიებზე მეტად საბავშვო ფონდის არსებობა მიგვითითებს დე-ფაქტო დამოუკიდებლობისაკენ თანდათანობით სვლაზე. საქართველოს ოფიციოზმა გაბედულად გადაწყვიტა ქველმოქმედების ადგილობრივი სახსრებიდან ცენტრალური მთავრობისათვის ტრადიციული 40-პროცენტიანი წილის მიცემა შეეწყვიტა. ამან კი აქაურ ბავშვებს მეტი სარგებლობა მოუტანა.

თუმცა ეს რამდენადმე უფრო რისკიანი ნაბიჯია, ვიდრე ქართველების ახალი ბრძოლა „ტრადიციული რწმენის“ წინააღმდეგ, რაც ლენინის ძეგლების „ნგრევით“ გამოიხატება. დემონსტრანტების დახოცვიდან ერთი წლის განმავლობაში ათი ან მეტი ძეგლი უბოდიშოდ ჩამოაგდეს კვარცხლბეკიდან მთელ რესპუბლიკაში.

ლენინის ზოგიერთ ძეგლს ახლა მილიცია იცავს. ერთი ლენინი გალიაშია დამწყვდეული — მისი მარჯვენა წინ არის გაწვდილი, გამოხედვა კი ჩამქრალი აქვს. ლენინის პორტრეტი ყუთში დამალვით მოარიდეს განრისხებულ ხალხს, რომელიც მელნიან ბოთლებს ესროდა მას.

### სიცილის დღეგრძელობა

კაცმა შესვა ქართული წითელი ღვინო, დანაყრდა ყველით, პურით, შეკმაზული ლობიოთი და დიდი წითელი პომიდვრით, მერე სიმღერა წამოიწყო:

„ლენინი მარად ცოცხალია“, — მღეროდა იგი და სიმღერის რიტმს ახანგრძლივებდა, რათა დამცინავი ხითხითისათვის დრო დარჩენოდა. „ის მარად ჩვენთანაა“ — მღეროდა იგი ბავშვობისდროინდელ სიმღერას.

კაცმა გულიანი სიცილით დაასრულა, თითქოს დოკუმენტურად დადასტურებული სიკვდილებითა და ჯერაც ყოველდღიური აღშფოთებით აღსავსე კომუნიზმის ათწლეულები საქართველოში აბსურდულობის ჰანგით სრულდებოდა.

**ფრენსის კლაინსი,**
„ნიუ-იორკ ტაიმსი“, აპრილი.

**რედაქციისაგან: სამწუხაროდ, ჩვენამდე გვიან აღწევს უცხოეთის პრესა. თუ ამ პუბლიკაციას მაინც გთავაზობთ, უფრო მეტად იმიტომ, რომ ახეთი წერილები ფრიად უცხოა „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“...**

# „უდანაშაულო დამნაშავენი“
## ანუ
## ავბედითი სინდრომის ტყვეობაში

**ამასწინათ** საკავშირო რადიომ გადმოსცა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო: ბერლინის ერთ-ერთ გარეუბანში მოსახლეობის ერთმა ნაწილმა გზა გადაუღობა ავტობუსით მიმავალ საბჭოთა სამხედროებს. ახალგაზრდები აცვივდნენ ავტობუსში, ჩალეწეს მინები, შეურაცხყოფა მიაყენეს ჯარისკაცებს და ოფიცრებს, გადაუყარეს ქუდები და პირადი ნივთებიო. კორესპონდენტის სიტყვით, ამ აქციას გულგრილად ადევნებდნენ თვალყურს შორიახლო მდგომი ხელკეტიანი პოლიციელები. როდემდე უნდა ვითმინოთ ხულიგანთა გამოხდომებიო, ნათქვამი იყო გადაცემაში, სად იხედება ადგილობრივი ხელისუფლება, რატომ საკადრისად არ სჯის თავზეხელაღებულ გარეწრებსო.

რაღა თქმა უნდა, „დაჩაგრული დერჟავის“ გულდამწვარ მოსარჩლეს სიტყვაც არ დასცდენია იმის თაობაზე, რომ აგერ უკვე 45 წელიწადზე მეტია, რაც აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორია ოკუპირებულია, აქვს კბილებამდე შეიარაღებულ არმიას, რომლის რაოდენობა თვით ოფიციალური მონაცემებით, 380 ათას კაცს აღემატება. ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, თორემ ეს რიცხვი სინამდვილეში ალბათ გაცილებით მეტია. საბჭოთა არმიის მესვეურებს ხომ მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებათ ასეთ შემთხვევებში ზუსტი ციფრების დასახელება. აბა, გავიხსენოთ: სულ ორიოდე წლის წინათ საკავშირო ტრიბუნიდან გულში მჯიღის ცემით გვარწმუნებდნენ, თავდაცვის წლიური ბიუჯეტი 17 მილიარდ მანეთს ოდნავ თუ აღემატებაო, სინამდვილეში კი, როგორც რამდენიმე თვის წინ აღიარეს (თუ ახლაც ამ ციფრს ძველებურად არ ამცირებენ), ეს მონაცემი სულ ცოტა 70 მილიარდ მანეთს შეადგენს. ესეც ისე, საქმეში ჩაუხედავი ხალხის სათვალთვალოდ, თორემ ათწლეულების მანძილზე მთელი საბჭოეთი „მსოფლიო რევოლუციის დასახმარებლად და დასაჩქარებლად“ აღძრულ სამხედრო ბანაკს არ წარმოადგენდა? ასე, რომ „დემოკრატიული“ გერმანიის მიწაწყალზე საბჭოთა კონტინგენტის რაოდენობას, ოჯახის წევრებიანად თუ ვიანგარიშებთ, შესაძლოა, მილიონამდე აღარც არაფერი დააკლდეს. ახლა წარმოიდგინეთ, ქვეყნის სასიცოცხლო ნაწილებში განლაგებული ამოდენა ჯარი და ჯამაათი წლების მანძილზე რა სიამოვნებას ანიჭებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის უდიდესი ნაწილი ომის შემდეგაა დაბადებული და სწორედ ამიტომ არავითარი პირადი წვლილი არ მიუძღვის ნაცისტთა დანაშაულობებში. რასაკვირველია, ასეულათასობით ჯარისკაციანი საოკუპაციო არმიის უმთავრესი ფუნქცია როგორც კავშირის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ იყო და არის მოსახლეობის თავისუფლებისაკენ მისწრაფების ყოველგვარი გამოვლინების დათრგუნვა. თუ ეს ასეა (და ნამდვილად ასეა), მაშ რაღად უნდა იყოს გასაკვირი ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი თავისუფლების სულთამხუთავებს ფეხქვეშ ფიანდაზად არ ეგებიან? თუმცა აქვე ჩნდება მეორე კითხვაც: რაღა დააშავეს იმ საბჭოთა ჯარისკაცებმა, რომელთაც თავიანთი როლი, როლი ჟანდარმისა მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ? მათაც ხომ დაახლოებით იგივე მისწრაფებები და იდეალები გააჩნიათ, რაც მათ გერმანელ თანატოლებს?

საკავშირო რადიოს ცნობამ ერთი ფაქტი გამახსენა, რომლის შემსწრეც თავად გახლავართ და რასაც ალბათ ვერასოდეს დავივიწყებ. ეს ამბავი ხუთიოდე წლის წინათ მოხდა როცა სხვა საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად ვმუშაობდი ირანში, ისფაჰანის მახლობლად. ქალაქიდან ასე ოცდახუთიოდე კილომეტრზე უზარმაზარ თბოელექტროსადგურს ვაშენებდით. ელექტროსადგურიდან ისფაჰანისაკენ მიმავალ გზაზე, ქალაქის მისადგომებთან, ერთი ძველი ქარვასლის შენობაში ავღანელი ლტოლვილების მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტი იყო მოთავსებული. ერთხელ ავტომობილით ისფაჰანს მივდიოდით. ჩვენი მძღოლი საშა (გვარი აღარ მახსოვს) რიაზანისა თუ კალინინის ოლქის რომელიღაც მივარდნილი რაიონიდან იყო, ქერა კულულებიანი, ალალი, მხიარული, დაუზარებელი ბიჭი იყო და ყველას უყვარდა. ავღანელთა ბანაკს რომ გავუსწორდით, წყლის ტემპერატურის სასიგნალო ნათურამ გვამცნო, რომ რადიატორში წყალი ადუღდა და ვიდრე მის მარაგს არ შევივსებდით, ადგილიდან ფეხსაც ვერ მოვიცვლიდით. რაღას ვიზამდით, მანქანა სასწრაფოდ შევაჩერეთ. ირგვლივ ტრიალი უდაბნო იყო და წყლის საშოვნელად ძალაუნებურად იმ ძველ ქარვასლას უნდა მივდგომოდით. გამახსენდა, როგორ საგულდაგულოდ გვმოძღვრავდნენ „პასუხისმგებელი ამხანაგები“, ლტოლვილ ავღანელებს არამც და არამც სათოფეზე არ გაეკაროთ, თორემ პროვოკაციას მოგიწყობენო. ამიტომ მძღოლს დავუბარე, მანქანიდან თავი არ გამოეყო, მე კი ვედროს ხელი დავავლე, გზა გადავჭერი და პირდაპირ ქარვასლის ჭიშკარს მივადექი.

კარებში ჭაღარა ავღანელი შემეგება. სპარსულად ვუთხარი, რაც გვიჭირდა და წყალი ვთხოვე. დიდის ამბით შემიპატიჟა, ჩაის დალევა შემომთავაზა. გულითადი მასპინძლობისათვის მადლობა მოვახსენე. გარეთ მანქანა მელოდება და მეჩქარება-მეთქი. კეთილი მასპინძლები ჩვენ კი არა, თქვენ ხართ, ირანელებიო, მომიგო მოხუცმა და მივხვდი, ირანელად ჩამთვალა. ერთადერთი ვაჟი წყეულმა ურუსებმა მომიკლეს და შვილიშვილთან ერთად აქეთ გადმოვიხვეწე. ნეტა ისეთი რა დავუშავეთ, რისთვის გაგვწირესო. მერე ის იყო, 14–15 წლის ბიჭს გასძახა: მოდი აქ, ალი, ბატონს წყლის წაღებაში მიეხმარეო.

ბევრი ვიუარე, მაგრამ არაფერი გამივიდა. მოხუცის ცქრიალა შვილიშვილმა ვედრო წყლით გამივსო და, ემანდ არ გამომართვასო, თითქმის სირბილით გასწია ჩვენი „ფეიქანისაკენ“. სხვა რა გზა იყო, მოხუცს გამოვემშვიდობე და ბიჭს დაუვედევნე.

მძღოლს მანქანისათვის კაპოტი აეხადა და მოტორს ჩაჰკირკიტებდა. დამინახა თუ არა, შორიდანვე მომაძახა: მგონი გადავრჩით, ნოდარ გეორგიევიჩ, მოტორი მთელია, ისეთი არაფერი მოსვლიაო. ამის გაგონებაზე ჩემს გვერდით მომავალ ბიჭუნას სახეზე ნაცრისფერი დაედო, თვალები უცნაურად აუელვარდა და ერთიანად ნერვიულმა ცახცახმა აიტანა. ვედრო მაშინვე მიწაზე დადგა და მითხრა: მაპატიეთ, აღა, ველარ გამოგყვებით. მამაჩემის მკვლელ ურჯულო ურუსს ახლო ვერ მივეკარები. სანამ მაგათ სისხლს არ დავლევ, ვერასდიდებით ვერ მოვისვენებო. ბევრი ვუშალე, მაგისი რა ბრალია, ეგეც შენისთანა სოფლელი ბიჭია, რა დაგიშავა-მეთქი, მაგრამ ხმა აღარ გამცა. უხმოდ შეტრიალდა და მხრებჩამოყრილი, ლასლასით გაუყვა ქარვასლისაკენ მიმავალ ბილიკს.

ვუყურებდი მიმავალ ბიჭუნას და თვალწინ მეხატებოდა სადღაც ავღანეთის მთებში შეყუჟული მისი გაპარტახებული სოფელი, ნახარი სახლ-კარი და გაციებული კერა. ამასობაში ჩვენი ქერა მძღოლიც თავზე წამომადგა. როცა ვუთხარი, რაც მოხდა, გულწრფელად შეწუხდა. მანქანა გავმართეთ და გზას ხმაგაკმენდილები გავუდექით.

ახლაც, მოსკოვის რადიოს რომ ვუსმენდი, რატომღაც ის ეპიზოდი გამახსენდა. არადა, მართლაც, უბრალო, პატიოსან ადამიანებს ერთმანეთთან არაფერი აქვთ გასაყოფი. ვერავინ დამაჯერებს, რომ ალალმართალ რუს მშრომელს გულზე ეხატებოდეს უნგრეთში, 1956 წელს, ჩეხოსლოვაკიაში, 1968 წელს, ავღანეთში, მთელი ათი წლის განმავლობაში, საქართველოში, 1956 და 1989 წლებში ეგრე ულმერთოდ, არაადამიანურად, გაუმართლებელი სისასტიკით დაღვრილი სისხლი. მერედა ვის სჭირდება ეს სისასტიკე? რა მოუტანა მან საკუთარი პრობლემებით გულგამოხრულ, დაბეჩავებულ-დაჩაჩანაკებულ „მეტროპოლიას?“ რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ცრემლი და ვაება, ჭეშმარიტი რწმენის დაკარგვა, შოვინიზმის შხამით გონების დაბნელება და უმაგალითო გაბოროტება. აშკარად უნდა ითქვას, უპირველესად რუსეთისა და რუსების დაუძინებელი მტრები არიან ისინი, ვინც ადრეც ეპოტინებოდა და ახლაც ვერ თმობს იმპერიულ ამბიციებს, ვინც ამ უკიდეგანო ქვეყნის რესურსები აკვიატებული, ცამი გამოკიდებული „იდეებისათვის“ უთავბოლოდ გაანიავა და „საკუთარ“ ხალხს დამპყრობლისა და ოკუპანტის იარლიყი დაუმკვიდრა მთელ მსოფლიოში. ამაზე უთქვამს ჭკვიან კაცს: კაცი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ დარბოდაო.

დღეს, როცა „ხალხთა საპყრობილედ“ წოდებულ იმპერიაში დღითიდღე ძალუმად ისმის „ხალხთა ბორკილის ხმა მტვრევისა“, როცა ოკუპირებული, ანექსირებული „მოძმე რესპუბლიკები“ სულ უფრო მეტად იმაღლებენ ხმას კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არ შეიძლება რწმენა და იმედი არ ჩაგვინერგოს ოდესღაც „დერჟავის ხერხემლად“ წოდებული რუსეთის საზოგადოებრიობის შესამჩნევმა გამოფხიზლებამ, ჭეშმარიტად ეროვნული თვითშეგნების ამაღლებამ და თვითგამორკვევისაკენ სწრაფვამ. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი და მხოლოდ ასეთი რუსეთი ჩამოირეცხავს დიდმპყრობელური შოვინიზმისა და თავისუფლების მესაფლავე ურჩხულის ლაქებს, საბოლოოდ აიღებს ხელს სხვისი მიწა-წყლის დამონებაზე და თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებული ერების მსგავსად დაადგება საკუთარი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების გზას.

ბოლოს და ბოლოს, დროა ყველამ აღიაროს ეს უძველესი ჭეშმარიტება: არ შეიძლება თავისუფალი იყოს ერი, რომელიც სხვა ერს იმონებს.

სწორედ ამ აზრის გაცნობიერება წაადგება თვითმპყრობელობის ავბედითი სინდრომით დაავადებულ „მეტროპოლიას“.

**ნოდარ ნონიაშვილი**

ფასი 60 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ყაზბეგის ქ. № 17. ტელ.: 222-681.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი